საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 25 ივნისი. 2016 წ. №117 (8009), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პარტნიორობა თუ „მიჟირხვნა“?

იან კელი – ამერიკული კეტით ხელში?!

ჟურნალისტის გულისტკივილი ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩის არამეგობრული პოზიციისა გამო

(4)

მოდი და ედავე ამის შემდეგ ეგზისტენციალიზმში ჩახედულ ამ ვაჟბატონს!

თემურ ქორიძის წერილის („არ ჩამოვარდე, იაკობ“!) საპასუხოდ

(5)

ევროპის ისტორიული თუ... ისტერიკული დღე?!

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგზე პირველ კომენტარს აკეთებენ.

როგორც გერმანიის ვიცე-კანცლერმა ზიგმარ გაბრიელმა Twitter-ის საკუთარ გვერდზე დაწერა, **„დღეს ევროპისთვის ცუდი დღეა!“.**

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ვალტერ შტაინმაიერმაც რეფერენდუმის შედეგზე საუბრისას აღნიშნა, რომ **ეს „ევროპისა და ბრიტანეთისთვის ყველაზე სამწუხარო დღეა“.**

„გთხოვთ, მითხარით, რომ მძინავს და რომ ეს ყველაფერი ცუდი სიზმარია“, – წერს ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე სტუბი.

ნიდერლანდების პარლამენტის წევრმა გერტ ვილდერსმა კი რეფერენდუმის შედეგთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა. **„ვაშა, ბრიტანეთს! ახლა ჩვენი ჯერია. ნიდერლანდებში რეფერენდუმის ჩატარების დრო დადგა!“,** – დაწერა პოლიტიკოსმა Twitter-ში.

საფრანგეთის პარტია „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმაც ბრიტანელების არჩევანი მოიწონა.

„თავისუფლებამ გაიმარჯვა! მრავალი წელია, ვსაუბრობ, რომ ამგვარი რეფერენდუმი ევროკავშირის სხვა ქვეყნებსა და საფრანგეთშიც უნდა ჩავატაროთ“, – დაწერა ლე პენმა.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ევროკავშირიდან გასვლას მხარი ბრიტანელების თითქმის – 52%-მა დაუჭირა.

იხ. 2 გვ.

ოთარ მეღვინეთუხუცესი

(6)

დიდი რეჟისორის ჩანახატი დიდ მსახიობზე

ლადო გუდიაშვილი



(9)

...ისე, როგორც დიდ მხატვარს ეკადრებოდა

ვიქტორ გაბესკირია

(7)

ნუ მაღლდებით, გხედავთ, ზვიროთებო!

ვლადიმერ აფციაური

(10)

ლეგენდა, ნაადრევად დასრულებული

ნომრის კარიკატურა

„კანონიერი ქურდებისა“ და ნაციონალების არაოფიციალური ქორწინება

(11)

რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება ბიუროკრატიული აპარატის შემცირებას?

(3)

რა ეღირება ხუდონჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია?

(3)

ის, რაც არ გკლავს, უფრო ძლიერს გხდის

ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკის განცხადებით, ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი „ისტორიული და ისტერიკული რეაქციების მომენტია“.

„ვერ დავმალავთ, რომ რეფერენდუმის სხვა შედეგებს ველოდებოდით. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რამდენად სერიოზული და დრამატულია ეს ამბავი პოლიტიკური თვალსაზრისით. რთულია ვიწინასწარმეტყველოთ, როგორი იქნება ამის პოლიტიკური შედეგები, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთისთვის. ეს ისტორიული და ისტერიკული რეაქციების მომენტია. მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ამ ნეგატიური სცენარისთვის მზად ვართ“, — განაცხადა ტუსკიმ.

მისი თქმით, ევროკავშირის 27-ვე ლიდერს ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნება სურთ.

ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი ევროპაში იურიდიულ ვაკუუმს არ შექმნის, რადგან, სანამ ბრიტანეთი ევროკავშირს ფორმალურად არ დატოვებს, იქამდე მასთან მიმართებაში ევროპული კანონმდებლობა იმოქმედებს.

„მართალია, ბოლო წლები ევროკავშირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო, მაგრამ ყოველთვის მახსოვს მამაჩემის სიტყვები: ის, რაც არ გკლავს, უფრო ძლიერს გხდის“, — თქვა ტუსკიმ.

* * *

იმედს ვიტოვებ, რომ ეს იქნება ევროპისთვის გამოსაფხიზლებელი რეფერენდუმის შედეგი — ასე ეხმაურება თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ რეფერენდუმს და დასძენს, რომ დემოკრატია ერთ აზრზე ყველას ყოფნას არ ნიშნავს. „ეს არის სწორედ დემოკრატია, სადაც

ხანდახან დემოკრატიული პროცესის შედეგად დგება ისეთი მომენტი, რომლითაც ყველა ბედნიერი არ არის. იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში, ევროკავშირი და მისი სიძლიერე ამ რეფერენდუმის შედეგებით არ დაზარალდება. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ჯერ ყველაფერი წინ არის. ეს არის ერთი ძალიან დიდი პროცესის დასაწყისი, რომელიც შეიძლება მძიმე იყოს ევროპისთვის, მაგრამ შეიძლება იყოს გამოსაფხიზლებელი...

* * *

დონალდ ტრამპი: ბრიტანელებმა თავიანთი ქვეყანა დაიბრუნეს

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი მიიჩნევს, რომ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმით ბრიტანელებმა თავიანთი ქვეყანა დაიბრუნეს. ამის შესახებ დონალდ ტრამპმა შოტლანდიაში, საკუთარი გოლფ-კურორტ „ტრამპ ტერნბერიში“ მისვლისას განაცხადა.

გოლფ-კურორტის გახსნის



ცერემონიალი ამერიკელმა მილირდერმა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირის წევრობის შესახებ რეფერენდუმის მეორე დღეს დაგეგმა.

ისტორიულ რეფერენდუმზე უფრო მაღალი აქტივობა დაფიქსირდა, ვიდრე გასულ წელს საყოველთაო არჩევნებზე. რეფერენდუმში ბრიტანეთის მოსახლეობის 72.2%-მა, ანუ 46 501 241 მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირის წევრი 43 წლის განმავლობაში იყო.

„ჩვენ რომ ევროკავშირში შევალთ, იქ აღარავინ დაგვხვდება“ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს

ქართველი პოლიტიკოსებიც ეხმაურებიან. დეპუტატი თამაზ მეჭიაური ამბობს: „ჩვენ რომ ევროკავშირში შევალთ, იქ აღარავინ დაგვხვდება. ბრიტანელებს კიდევ აქვთ სურვილი შეინარჩუნონ ტრადიციები, ისტორია, ევროპელობა და წინ აღუდგნენ იმ ტენდენციას, რომელიც ფაქტიურად ეროვნებებს შორის განმასხვავებელ ნიშნებს სპობს. ვფიქრობ რომ, შეიძლება ეს გაგრძელდეს და შეიძლება მივიღოთ ისეთი ევროკავშირი, სადაც მეტი იქნება აზიური თუ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ვიდრე ევროპელები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენც უნდა გადავხედოთ გამოკითხვის შედეგებს.

◎ მოლოდინი

რას მოგვიტანს ნატოს ვარშავის სამიტი?

ქართული მხარე შავ ზღვაზე სამხედრო გემების რეგულარულ ვიზიტებს ითხოვს

8-9 ივლისს დაგეგმილი ნატოს ვარშავის სამიტი გადამწყვეტი იქნება. ნატო მიიღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, თუ როგორ მოხდება უსაფრთხოების სფეროში შექმნილ ახალ ვითარებასთან ადაპტირება. რაც შეეხება საქართველოს, უკვე ცნობილია, რომ ნატოს ვარშავის სამიტზე გაწევრების სამოქმედო გეგმას — MAP-ს ვერ მიიღებს, თუმცა საუბარია, პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც საქართველომ სწორედ ვარშავის სამიტის შემდეგ უნდა დაიწყოს.

სწორედ ვარშავის სამიტზე გახმოვანდება, რა დამატებითი საშუალებები არსებობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში საქართველოსთან თანამშრომლობის კუთხით. ვარშავის სამიტზე ნატო კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით 2008 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მას შემდეგ რაც ვარშავაში მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, დაისახება კონკრეტული გეგმა. ერთ-ერთი, რასაც ქართული მხარე ითხოვს, ეს არის სამხედრო გემების რეგულარული ვიზიტები საქართველოში, ზუსტად ისე, როგორც ხდება თურქეთის ან ბულგარეთის პორტებში. თინა ხიდაშელის განცხადებით, საქართველოს პორტები უნდა გახდეს ნაწილი მარშრუტის, ზუსტად ისე, როგორც ნატოს წევრი ქვეყნები.

ხიდაშელის განცხადებით, MAP გახდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ნაწილი და როდესაც საქართველოს წევრობაზე იქნება კონსენსუსი, იქნება MAP-იც. მინისტრი იმედოვნებს, რომ NATO-ს ვარშავის სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში, კიდევ უფრო ნათელი ტექსტი იქნება წარმოდგენილი.

მისივე თქმით, ვარშავის სამიტზე მონტენეგროს გაწევრება არის საუკეთესო გზავნილი საქართველოსთვის იმის დასადასტურებლად, რომ შემდეგი გაჩერება საქართველო იქნება.

სამიტამდე 17 დღით ადრე თბილისში კონფერენცია „ნატო-ს ვარშავის სამიტი — გამოწვევები და მოლოდინები“ გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საექსპერტო საზოგადოების წარმომადგენლების 2016 წლის ვარშავის სამიტის დღის წესრიგის შესახებ დისკუსიაში ჩართვას.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ, რომლის განცხადებით, მნიშვნელოვანია ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურონ, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი იმისთვის, რომ გააგრძელოს მზადება წევრობისთვის.

„რაც შეეხება კონკრეტულ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, ჩვენ მივიღებთ კიდევ უფრო მეტ და უფრო მნიშვნელოვან მხარდაჭერას არსებითი პაკეტის გაძლიერებით, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების და მისი ნატოსთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით. არსებითმა პაკეტმა უკვე აჩვენა ის პროგრესი, რომელიც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მიმართულებით ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. ამ პროგრესს სჭირდება განმტკიცება პრაქტიკული ხელსაწყოებით“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თამთა ქარჩავა

გიორგი კვირიკაშვილი იუვალ ფუქსს გამოემშვიდობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან იუვალ ფუქსთან, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური მისიის ვადა ეწურება, გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბარი შეეხო ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობების საკითხებს. გიორგი კვირიკაშვილმა იუვალ ფუქსს მეგობრული დამოკიდებულებისა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა.

იუვალ ფუქსი საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას 2012 წლის 10 სექტემბრიდან იკავებს.

დევდორაკმა კვლავ შეგვახსენა თავი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, **დევდორაკის ხეობაში პოლიცია და სამაშველო სამსახურები სრულ კოორდინაციაში მუშაობენ.**

დევდორაკის ხეობაში ღვარცოფის ჩამოწოლის შედეგად გზის 1-კილომეტრიანი მონაკვეთი ჩაიხერგა.

„ხეობაში მობილიზებული გვყავს საპატრულო პოლიცია, ასევე სამაშველო სამსახური. ისინი სრულ კოორდინაციაში მუშაობენ სხვა შესაბამის უწყებებთან. საპატრულო პოლიციამ ღვარცოფის ჩამოწოლისთანავე მყისიერად მოახდინა რეაგირება და სტიქიის ზონიდან გამოიყვანა ავტომობილები და მოქალაქეები“, — განაცხადა მღებრიშვილმა.

* * *

პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის **განცხადებით, დევდორაკის ხეობის გზის აღდგენას 10-დან 14 დღემდე დასჭირდება და საჭირო თანხები რეზერვებიდანაც გამოიყოფა.**

„რესურსები, რა თქმა უნდა, მობილიზებულია. ჩვენ,სახელმწიფო ბიუჯეტში გვაქვს გათვალისწინებული სტიქიის ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხმები. ამ წუთის შეფასებით, რა ინფორმაციაც მე მაქვს, ჩვენ დაგვჭირდება, სადღაც, 10 დღე — ორი კვირა იმისათვის, რომ ეს ჩაწყვეტილი გზა აღვადგინოთ“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

პაატა ბურჭულაძე სტრასბურგიდან პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს

„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ თავმჯდომარე პაატა ბურჭულაძე პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს თხოვნით, მოწვეული იქნას პარლამენტის რიგგარეშე სესია იმისათვის, რომ მოხდეს მოძრაობის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის რეალიზება არჩევნებამდე. საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის რეფორმირებას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობის დათხოვნას, რის შემდეგაც მოხდება საბჭოს ახალი შემადგენლობის განსხვავებული სისტემით არჩევა. ასევე იცვლება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და პროცედურა. რიგგარეშე სესიამდე მოძრაობა 30 ათას ხელმოწერას შეაგროვებს.

სტრასბურგიდან მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს თხოვნით, რათა მოიწვიონ პარლამენტის რიგგარეშე სესია და მას შემდეგ, რაც ჩვენ შევაგროვებთ 30 ათას ხელმოწერას, მოხდეს ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივის ხელმოწერა არჩევნებამდე. ვინაიდან ამის გარეშე ძალიან რთული იქნება სამართლიანი არჩევნების ჩატარება, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

◎ ბიუროკრატია საძოვარზე

რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება ბიუროკრატიული აპარატის შემცირებას?

ბიუროკრატიული აპარატის შემცირების საკითხი ისევ აქტუალურია. ბოლო თვეების განმავლობაში საკითხი მუდმივად განიხილება არა მარტო ექსპერტებისა და ოპოზიციის, არამედ თავად ხელისუფლების მიერ.

ბიზნესმენების ნაწილი ამ პრობლემაზე უკვე წლებია, საუბრობს, და აი, ბიუროკრატიული აპარატის შემცირების საჭიროება დღის წესრიგში იმ ბიზნესმენებმაც დააყენეს, რომლებსაც მანამდე ამ თემაზე საჯაროდ არ უსაუბრიათ.

როგორც „თიბისი ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, ძალიან ბევრი სამინისტრო აბსოლუტურად ზედმეტია და აპარატის შემცირებაა საჭირო.

კომპანია „თეთრი ქუდის“ გენერალური დირექტორი ვანო იოსელიანი აცხადებს, რომ კარგი იქნება, თუ სახელმწიფო კადრების ოპტიმიზაციას განახორციელებს. თუმცა, ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ ეს კონკრეტული რეგულაციების აბსოლუტურად გაუქმების ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

„ცოტა საფრთხილო საკითხია. გვახსოვს, რომ დაახლეობით 10 წლის წინათ სრულად გაუქმდა სამშენებლო ზედამხედველობა, სურსათის უვნებლობა, ფიტოსანიტარიული სამსახურები და ამან სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა 10 წელიწადში, როცა მთლიანად მოიშალა რეგულაციები. ამიტომ ასე ცალსახად რამის გაუქმების მომხრე არ ვარ, უნდა დაითვალოს და ოპტიმიზაცია მოხდეს კადრებისა და სამსახურების“, — აცხადებს ვანო იოსელიანი.

ბიზნესმენისთვის უფრო მისაღებია სამინისტროების ან სსიპ-ების გაერთიანება, როგორც ეს გასულ წლებში იგეგმებოდა.

ის, რომ სამინისტროების ოპტიმიზაცია შესაძლებელია, რამდენიმე თვის წინათ ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემაც აღიარა. ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ თემის განხილვა მთავრობაში მიმდინარეობს და მომავალში შესაძლებელია, მოხდეს გარკვეული ოპტიმიზაცია.

მიუხედავად რამდენიმე თვის წინათ დაანონსებული ცვლილებებისა, ამ საკითხზე ჯერჯერობით ისევ არაფერია ცნობილი. ეკონომისტები კი მიიჩნევენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება, რადგანაც სახელმწიფო აპარატის შემცირება მტკივნეული საკითხია საჯარო უწყებებში დასაქმებული ადამიანებისთვის.

იქამდე კი, სანამ ადმინისტრაციული ხარჯები საკმაოდ მაღალია, ხელისუფლებას სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად ფული არ რჩება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2016 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო მმართველობა ყველაზე მაღალანაზღაურებადი სფეროების სამეულშია. პირველ ადგილს ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასით საფინანსო სექტორი იკავებს, მეორე ადგილზე მშენებლობის სფეროა, მესამე ადგილზე კი - სახელმწიფო მმართველობა. ამის პარალელურად ყველაზე დაბალი ანაზღაურება განათლების სექტორშია, რომელიც ხელისუფლებას პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული.

როგორც ამ საკითხზე საუბრისას რამდენიმე დღის წინათ „კომერსანტს“ ეკონომისტმა ეკა გეგეშიძემ განუცხადა, მთავარი პრობლემა არა ხელფასების ოდენობა, არამედ საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რიცხვია. სპეციალისტმა აღნიშნა, რომ განათლებაში ერთმნიშვნელოვნად მაღალი ხელფასები უნდა იყოს, თუმცა, ამას საქართველოს ბიუჯეტი ვერ გასწვდება.

მისი შეფასებით, სახელმწიფომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ან შეამციროს თანხები კონკრეტული მიმართულებებით, მაგალითად ჯანდაცვის ბიუჯეტი, ან შეამციროს საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი და გამოთავისუფლებული თანხა სწორედ განათლებისკენ მიმართოს.

ეკა გეგეშიძე ამბობს, რომ განათლების სისტემაში 70 ათასამდე მასწავლებელი მუშაობს და მათ დაბალ ხელფასს სწორედ დიდი რაოდენობა განაპირობებს. სწორედ ამიტომ, სპეციალისტი მიიჩნევს, რომ თანხებისა და კადრების ოპტიმიზაციაა საჭირო.

სალომე მეცხვარიშვილი

◎ ტარიფი

რა ელირება ხუდონჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგია?

როგორც მოსალოდნელი იყო, ხუდონჰესის პროექტი გაურკვეველი ვადით გადაიდო, თუმცა ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ სვანეთის მოსახლეობასთან შეუთახმებლობისა და არჩევნების მოახლოების გამო არ ხდება. გაურკვევლობაა გიგანტური ჰესის მიერ გამომუშავებული დენის ტარიფის დადგენის კუთხით. რამდენადაც გენერაციის ობიექტების სატარიფო პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის, ხუდონის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის თემაც ამ კონტექსტში განიხილება.

ხუდონჰესის პროექტზე სახელმწიფომ გარკვეული სამუშაოები დროებით შეაჩერა. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი აცხადებს, ამ პროექტის გაჭიანურების მიზეზი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიმდინარე მოლაპარაკებებია, რომელიც სატარიფო პოლიტიკის გადახედვას ითვალისწინებს.

„საჭიროა, დავასრულოთ საერთაშორისო სავლუტო ფონდთან მოლაპარაკებები. „ხუდონი“ იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება ავითარებდე ამ პროექტს და თან სტრატეგიის გადახედვა ხდებოდეს. რადგან სტრატეგიის გადახედვა დაიწყო, ჩავთვალეთ, რომ სჯობს, რამდენიმე თვე გაჩერდეს, მაგრამ სწორი მიმართულებით განვითარდეს“, — განაცხადა ელოშვილმა.

სატარიფო პოლიტიკის გადახედვა ძირითადად იმ ფასის განსაზღვრას გულისხმობს, რაც ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა (ესკო) ელექტროენერგიის შესაძენად ჰესებს უნდა გადაუხადოს.

არსებული სატარიფო პოლიტიკის მიხედვით, ინვესტორებთან გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება, რომლის თანახმადაც ბაზრის ოპერატორი (ესკო) სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით გენერაციის ობიექტების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 100%-ს შეისყიდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასად. ინვესტორები, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან, აღნიშნულ პერიოდში წარმოებული ელექტროენერგია სრულად მიყიდონ ესკოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლებმა კი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები საქართველოსთვის რისკის ფაქტორად დაასახელეს.

როგორც ჩანს, სახელმწიფო იმ ელექტროსადგურების ნუსხას, რომელთა მიერ გამომუშავებულ ენერგიას გარანტირებულად შეისყიდის, ისე აფართოებს, რომ ამ პროცესმა სსფ-ს ყურადღება მიიქცია. ფონდი ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციით მიმართავს, რომ ფისკალური რისკის თავიდან ასაცილებლად, ახალი ენერგეტიკული პროექტების განხილვაში აქტიურად ჩაერთოს და თითოეული დეტალი კარგად გათვალოს.

წელს საქართველოს ენერგოსისტემას მთლიანობაში 404 მეგავატი ელექტროენერგია უნდა შეემატოს. მთავრობის გათვლით, მოკლე ხანში ქვეყანამ ძვირად ღირებული ელექტროენერგიის (იმპორტი, თბოსადგურები) წილის შემცირება და ექსპორტის გაზრდა უნდა მოახერხოს.

რაც შეეხება ხუდონჰესის მშენებელი კომპანია „ტრანს ელექტრიკას“ მიერ დაგეგმილ და მიმდინარე სამუშაოებს, როგორც კომპანიის ტექნიკური დირექტორი დავით მირცხულავა „ბიზნესკონტაქტთან“ აცხადებს, ამ მხრივ არაფერი შეჩერებულა.

„პროექტის ტექნიკური პარამეტრების დაზუსტება და სხვა სახის სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ასევე არის სამუშაოები, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში უნდა დაფიქსირდეს, რაც ასევე მიმდინარეობს, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მემორანდუმით ნაკისრი გარკვეული ვალდებულებების შესრულებას ველოდებით“, — განმარტა მირცხულავამ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა ვალდებულებებზეა საუბარი.

ბექა დანელია

◎ კანონდარღვევები

შრომის ანაზღაურება - ბიუჯეტის საზიანოდ?

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გუშინ გამოაქვეყნა საინტერესო კვლევის შედეგები, რითაც ჩანს, რომ რეგიონალური მუნიციპალიტეტების უმრავლესობა თანამშრომელთა ანაზღაურებისთვის კანონით განსაზღვრულზე მეტ თანხას ხარჯავს.

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, „გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25 პროცენტს“.

კვლევამ კი აჩვენა, რომ, მაგალითად, შუახევის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 32.05 %-ია, ქედის მუნიციპალიტეტში — 52.35 %. მარტვილის მუნიციპალიტეტში — 30.5 %; ონის მუნიციპალიტეტში — 35.89 %-ია;

ასპინძის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 32.02 %-ს შეადგენს, ნინოწმინდაში— 32.94 %-ს; ადიგენის მუნიციპალიტეტში 31.39 %-ს და ა.შ.

გამოკვლეული მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში კანონი ამა თუ იმ ფორმით დარღვეულია.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტებში მომუშავეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდაა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მოუწოდებს მუნიციპალიტეტებს, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში მოახდინონ ბიუჯეტის კორექტირება და შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული ხარჯები შესაბამისობაში მოიყვანონ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლით დადგენილ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25 %-იან ზღვართან.

გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი კი, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადაანაწილონ.

ნინო ევგენიძე

გუდაურში ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს

გუდაურში მომდევნო ხუთი წლის მანძილზე 35-მდე ახალი სასტუმროს მშენებლობა იგეგმება. აღნიშნულს მთის განვითარების სააგენტოსა და კერძო კომპანია „რედ-კოს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს.

ხელშეკრულების თანახმადვე, გუდაურში იგეგმება გასართობი ცენტრების, ბრენდული მაღაზიებისა და სხვა ინფრაქსტრუქტურული პროექტების განხორციელება. პროექტი ითვალისწინებს 600-მდე ადამიანის დასაქმებას.

ეკონომიკის მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მთის კურორტებიდან ქვეყნის ეკონომიკაში შესული თანხის ზრდას.

„დღესდღეისობით მთის კურორტები ჩვენს ეკონომიკაში სადღაც 50 მილიონი დოლარის გენერაციას ახდენს. სრულიად მარტივად შესაძლებელია, რომ ეს გენერაცია ავიდეს 300 მილიონ დოლარამდე, რაც შესაბამისად, მოითხოვს, რა თქმა უნდა, ინვესტიციებს, მოთხოვს ახალ საწოლ ადგილებს და ახალი სერვისების მიწოდებას“, — განაცხადა **დიმიტრი ქუმსიშვილმა.**



დასრულებულ პროექტში საწოლების რაოდენობა იქნება 5 000-მდე.

იან კელი – ამერიკული კეტით ხელში?!

ჟურნალისტის გულისტკივილი ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩის არამეგობრული პოზიციისა გამო

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბატონ იან კელის წინამორბედს რიჩარდ ნორლანდს პირადად ვიცნობდი, რამდენჯერმე ვისაუბრეთ. ბატონმა ნორლანდმა შესანიშნავად იცოდა რუსული ენა და შეხვედრის დროს შეეძლო, ადვილად წამოეწყო საუბარი ნებისმიერ თემაზე.

„სიმართლეა, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს, დატოვოს პრემიერ-მინისტრის პოსტი? – თუ კი – რატომ?“ – შემეკითხა ერთხელ რიჩარდ ნორლანდი. ეს იყო შემოდგომით, ორწლინახევრის წინათ, მაშინ ამ თემას აქტიურად განიხილავდნენ. „რახან დაგვპირდა, მაშასადამე, წავა. ალბათ, სურს, გახდეს დენ სიაოპინი ან აიათოლა ჰომეინი“, – ვუპასუხე მე. „აიათოლა ჰომეინი... რა საინტერესოა“, – გაიცინა ნორლანდმა.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ რიჩარდ ნორლანდი ტოვებდა თავის პოსტს და მის ადგილზე ჩამოდიოდა იან კელი, მე ინტერესით დავიწყე ამერიკის ახალი ელჩის ბიოგრაფიის შესწავლა. კმაყოფილებით აღმოვაჩინე, რომ ის, თურმე, რუსული ენის სპეციალისტია. აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობის დაწყებამდე ბატონი კელი ამ ენას ასწავლიდა კიდეც კოლუმბიის უნივერსიტეტში. 1986 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სლავურ ენებსა და ლიტერატურაში. მუშაობდა ბელგიაში, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში. თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში იყო რუსეთის საქმეთა ოფისის დირექტორი. ერთი სიტყვით, ყველა ეჭვი მოიხსნა: ბატონი კელი მაღალი კლასის პროფესიონალია, თანაც – ბრწყინვალე ლინგვისტი. ინტერესით ველოდი იმ მომენტს, თუ როდის გავიცნობდი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩს. ინტერესს აღვივებდა ისიც, რომ მე ვაპირებდი, გადამეცა მისთვის ჩემი სტატია, ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში რომ გამოვაქვეყნე და მასში ვაკრიტიკებდი იან კელის წინამორბედს – საქართველოს საშინაო საქმეებში უცერემონიოდ ჩარევის გამო.

და აი, ეს მომენტი დადგა.

შარშან, აგვისტოში, შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოში ჩეხეთის საელჩო აწყობდა, ამერიკის ელჩი პირველად გამოჩნდა საჯაროდ. კელის, ეტყობა, სახით ცოტა ვინმე თუ იცნობდა. მის გარშემო არ ყოფილა ადგილობრივი ელიტის წარმომადგენელთა ის ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივად თავს დასტრიალებს თბილისში ამერიკული დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს. ერთი სიტყვით, მე დაუბრკოლებლად მივუახლოვდი ამერიკელს და მივესალმე – „გამარჯობათ, ბატონო ელჩო!“

ინტერმედია პირველი

სანამ გავაგრძელებდე საუბარს, გავიხსენებ ერთ ისტორიას, რომელიც მე თვითონ, იმ წლებში ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტს, ჩემი ჟურნალისტური სიჭაბუკის დღეებში მიამბეს. საუბარი შეეხებოდა ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელიც დაკავშირებული იყო ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის დასაწყისთან საქართველოს კომკავშირის (დიახ, კომკავშირის და არა პარტიის) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე. ახალგამომცხვარ მდივანს დაურეკეს მოსკოვიდან, აცნობეს რაღაც ღონისძიების შესახებ და სთხოვეს, გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი. ვინ გავაგზავნო? „მოდით, გავაგზავნოთ რუსი ეროვნების კაცი“, – შესთავაზა მდივანმა. დაიწყეს კანდიდატურის შერჩევა. შეჩერდნენ ვიღაც რუსეცკიზე ჭიათურიდან თუ ტყიბულიდან.. თან შევნიშნავ, რომ რუსეცკები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, იყვნენ არა რუსები, არამედ ლიტველები. ეს ზუსტად ვიცი, ვინაიდან მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი მეზობლად თბილისში „იმ რუსის“ ძმასთან – ვლადიმერ რუსეცკისთან, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მხატვართან. მაგრამ, ეტყობა, კონსტრუქციამ და გვარის ჟღერადობამ დააბნიეს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მუშაკები. დაიწყეს ჭაიათურელ (ან ტყიბულელ) რუსეცკისთან რეკვა. დაურეკეს. სთხოვეს, ჩამოსულიყო. მეორე დილით კომკავშირელთა ლიდერს მოახსენეს: რუსეცკი მისაღებში გელოდებათ. „შემოვიდეს!“ – გასცა განკარგულება ახალგაზრდა შევარდნაძემ. რუსეცკი შედის ფრთხილად: ჯერ თავი გამოჩნდა, შემდეგ კარში ტანიც გამოჩნდა. შემოსულს სწრაფად შეეგება შევარდნაძე წინ გაწვდილი ხელებით: „გამარჯობათ, ამხანაგო რუსეცკი!“ – წამოიძახა მან რუსულად. სტუმრის რეაქციამ შევარდნაძე დააბნია. აღმოჩნდა, რომ სტუმარმა რუსული ენა საერთოდ არ იცის.

„რაი, ბატონო?“ – აქეთ შეეკითხა ქართულად მდივანს რუსეცკი.

ვერაფერი გავიგე...

ძნელია ამის აღიარება, მაგრამ ჩემი გაცნობა ბატონ იან კელისთან ხდებოდა დაახლოებით ასეთი სურათით. და ფრაზაც „რაი, ბატონო?“ ჩემი მისალმების პასუხად ასე გახმიანდა, ოღონდ ინგლისურად. ძლივს შევიკავე გაოცება და როგორღაც შევეცადე, მომეწესრიგებინა საუბარი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მაშინ ჯიბიდან გაზეთი ამოვიღე, გავშალე და ვაჩვენე დიდი სურათი, რომელზეც გამოსახულები ვიყავით მე და ელჩი რიჩარდ ნორლანდი მიღებაზე გერმანიის საელჩოში. დავადე თითი სურათს და ჩემი თავი ვუჩვენე. „ა-ა-ა-ა“, – მიხვდა ბატონი იან კელი, გამომართვა გაზეთი და ჩაიდო ჯიბეში.

„რას ნიშნავდა ეს?“ – ვფიქრობდი, როდესაც ვშორდებოდი ელჩს. – ნუთუ სახელმწიფო დეპარტამენტში ამერიკელ დიპლომატებს აუკრძალეს რუსულად ლაპარაკი? არა მგონია. მაშ, რაშია საქმე?

სხვათა შორის, როდესაც გაზეთი გადავეცი, მე იმ დღეს ჩემი მისია შესრულებულად მივიჩნიე. „უეჭველია, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გადათარგმნიან ჩემს სტატიას ინგლისურ ენაზე და ახალ შეფს მისცემენ შესაძლებლობას, შეიქმნას წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უკმაყოფილებით აღიქვამს ქართველი საზოგადოებრიობა ექსელჩ ნორლანდის მუდმივ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში“, – ვფიქრობდი მე.

ჩემი სურვილის მიუხედავად...

ვაი რომ, მოლოდინი არ გამიმართლდა. ამერიკის ახალი ელჩის გამონათქვამები კი არ შემსუბუქებულა, არამედ, პირიქით – გახდა უფრო მკაცრი, აგრესიული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბატონი კელი ემუქრება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ლამის „ფერადი“ რევოლუციით.

არაფრით არ მიმაჩნია თავი კომპეტენტურად, გამოვთქვა აზრი „რუსთავი-2“-ის საქმის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ისეთ თემებზე, როგორებიცაა მენეჯმენტი ან ტელეარხის ფლობის უფლება. სავსებით ვეთანხმები იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია სასამართლოს და მხოლოდ სასამართლოს. ამ სტატიის თემა სხვაა: ვერანაირ დიპლომატიურ ნორმებში ვერ თავსდება უტაქტობა ამერიკის ელჩისა, რომელიც თავისი გამონათქვამებით სულ უფრო და უფრო მეტად გვაგონებს ადამიანს, რომელიც მიეჩვია, იქნიოს კეტი ყველაფერზე.

გაგახსენებთ ციტატას:

„მინდა, განვიხილოთ პროცესები „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით ამერიკულ და ქართულ კონტექსტებში, – განაცხადა ამ ცოტა ხნის წინათ ბატონმა კელიმ. – მინდა, აღვნიშნო, რომ თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების წელიწადს ადგილი ჰქონდა ამგვარ სასამართლო პროცესებს წამყან ოპოზიციურ ტელეარხთან დაკავშირებით, და რომ ასეთი პროცესების შედეგად საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა ამ არხის მენეჯმენტისა და მფლობელთა საკითხი, ამერიკის მხარე მონაწილეობას მიიღებდა ამ პროცესებში. სწორედ ამის გამო მინდა, ხაზგასმით განვაცხადო: თუ ამ პროცესების შედეგად შეიცვლებიან ტელეარხის მფლობელები და მენეჯმენტი, ქართველებმა ეს არ უნდა მოითმინონ და გულგრილად არ უნდა მიუდგნენ ამ საკითხს“, – დასძინა იან კელიმ.

„ნება მიბრძანეთ, წარმოგიდგინოთ განმარტება“

ზოგიერთმა პოლიტიკურმა და საზოგადოების წარმომადგენელმა საქართველოში ისეთი იერი მიიღო, თითქოს ვერ გაიგეს იან კელის სიტყვების აზრი.

„წესის მიხედვით, ბატონ ელჩს უნდა განემარტა, რამდენად ზუსტად იქნა გადმოცემული მისი აზრი და ის, თუ რისი თქმა სურდა მას, თორემ მეტად არაკორექტულად გამოიყურება ეს განცხადება...“, – აფორიაქდა პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე.

„მეც გამიჩნდა შეკითხვები და, ალბათ, იან კელი გააკეთებს განმარტებას, თუ რისი თქმა უნდოდა მას. ალბათ, ის, რომ ხალხმა უნდა მიიღოს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება?“ – უკვირს დეპუტატ ალექსანდრე ქანთარიას.

„რაც შეეხება ელჩის განცხადებას, მეტი სიცხადე უნდა იყოს იმაში, თუ რისი თქმა სურდა მას. შეკითხვევა აღარ უნდა დარჩეს. დაე, ბოლომდე თქვას ყველაფერი. ელჩმა უნდა იცოდეს, რომ „რუსთავი-2“-ის საქმე სასამართლოშია. სააკაშვილის დროს ეს სასამართლო იყო ფორმალური, ახლა კი საქმე განხილულია უკვე სამ ინსტანციაში... ელჩმა უნდა განმარტოს თავისი განცხადების არსი“, – ამბობს მეორე დეპუტატი ზაზა სიამაშვილი.

და შემდეგ ის აგრძელებს:

„რას მოუწოდებს ერთი ქვეყნის ელჩი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს? აგულიანებს მეორე ქვეყნის ხალხს ამგვარი აქციებისთვის? არ ვიცი, არსებობს თუ არა ამგვარი პრაქტიკა სადმე მსოფლიოში?“

ინტერმედია მეორე

მახსენდება ბავშვობის წლები. ჩვენმა მეზობელმა ხულიგანმა ერთხელ ჩვენს ნაცნობ ინტელიგენტს საშინელი ლანძღვა დაუწყო. ის კი, საბრალო, იდგა დაბნეული და გულუბრყვილოდ ეკითხებოდა თავის მლანძღველს:

„მითხარით, გამაგებინეთ, რისი თქმა გინდათ?“

ხულიგანმა ხომ ყველაფერი თქვა, რისი თქმაც უნდოდა. მოკლედ და მკაფიოდ. რა არის აქ გასარკვევი?

დაახლოებით ასეთივე ისტორიაა.

სამაგიეროდ ყველაფერი შესანიშნავად გაიგო და განუმარტა კიდეც მოსახლეობას ბატონ კელის მიერ ნათქვამი მიხეილ სააკაშვილის უახლოესმა თანამებრძოლმა, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა:

„ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განცხადება – მეტად მნიშვნელოვანი და უკიდურესად დროულია. იგი ცივი შხაპია ყველა მათგანისათვის, ვინც ახლა ხელისუფლებაშია, – ამბობს შაშკინი. – ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩმა თქვა პირდაპირ, ღია ტექსტით იმის შესახებ, რომ სრულიად დაუშვებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მფლობელისა და მენეჯმენტის შეცვლა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, და რომ ქართველ ხალხს აქვს უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს არაკონსტიტუციურ, უკანონო, არადემოკრატიულ გადაწყვეტილებას“.

პირდაპირი ტექსტით

სხვათა შორის, გამოფხიზლება მაღე მოხდა. მიიღო ისეთი სახე, თითქოს ამერიკის ელჩის სიტყვების არსი იწვევს კიდევ რაღაც შეკითხვებს, არის სათაკილო, დამაბნეველი.

„როგორც, საქართველოს რიგითმა მოქალაქემ, მინდა, გამოვთქვა პროტესტი ელჩ კელის აბსოლუტურად თავხედური, არაადეკვატური და ჩვენი ქვეყნის ღირსების შემლახავი განცხადების გამო, – აცხადებს პუბლიცისტი გიორგი ტიგინაშვილი. – თქვენ მიეცით თავს ნება, გეთქვათ: თუ სასამართლო პროცესი „რუსთავი-2“-ის საქმეზე არ დამთავრდება ტელეარხის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის სასარგებლოდ, ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა მოითმინოს. როგორ უნდა მოიქცეს, თქვენი აზრით, ქართველი ხალხი, ბატონო კელი? აჯანყდეს თავისი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ? დაიწყოს სამოქალაქო ომი? ამას მოგვიწოდებთ? და ვინ მოგცათ თქვენ უფლება – მოახდინოთ ასეთი უცერემონიო ზემოქმედება საქართველოს სასამართლოზე? განა დემოკრატია ახლა უკვე აღარ გულისხმობს კანონის უზენაესობას?

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი, დიასპორის საკითხებში მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე კი ერთმნიშვნელოვნად ამბობს: – შეიძლება, ვინმეს გასაოცრად მოეჩვენოს, რომ ამის შესახებ ვლაპარაკობ მე, მთავრობის ყოფილი წევრი. მაგრამ ვერაფერს იზამ – მოვიდა დრო, მთელი ხმით ვთქვათ იმის შესახებ, რომ საქართველოს მართავს არა პრეზიდენტი, არა პრემიერი, არა პარლამენტი, არამედ დღეს მართავს არაფორმალური მმართველი, რომელიც აიძულებს ამჟამინდელ ხელისუფლებას, იცეკვოს მის დაკრულზე და უსიტყვოდ შეასრულოს მისი ნება. არაფორმალური მმართველი ერევა საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებში, მისი განკარგულებით ინიშნებიან და თავისუფლდებიან მინისტრები, პრემიერ-მინისტრები და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკები. ის ყველგანაა, მის თვალს არაფერი გამოეპარება. თუ ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გახდეს ღირსეული, დამოუკიდებელი და აყვავებული ქვეყანა, დაუყოვნებლივ უნდა მოვუღოთ ბოლო არაფორმალურ მმართველობას. ქვეყანას უნდა მართავდნენ ის ადამიანები, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა აირჩევს. მეტი არავინ! თქვენ მეკითხებით, ვის ვუწოდებ საქართველოს არაფორმალურ მმართველს? გიპასუხებთ: ესაა ამერიკის ელჩი თბილისში, ბატონი იან კელი“.

* * *

რით დავამთავროთ ეს სტატია? ალბათ, მკითხველისადმი მიმართვით. თქვენ რას ფიქრობთ? მოგვწერეთ, შეგვეხმიანეთ!

ვალიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

მოდი და ედავე ამის შემდეგ ეგზისტენციალიზმში ჩახედულ ამ ვაჟბატონს!

თემურ ქორიძის წერილის („არ ჩამოვარდე, იაკობ“!) საპასუხოდ

ბატონო რედაქტორო, არ ვაპირებ თემურ ქორიძესთან ხანგრძლივ პაექრობას, მაგრამ, იმედი მაქვს, ამ ერთ საპასუხო წერილს გამომიქვეყნებთ. პატივისცემით, იაკობ ლეჟავა.

უტაქტო გამოსვლებისთვის და მცდარი, ქვეყნისთვის დამღუპველი პოზიციის გამო ვინ არ გამიკრიტიკებია 2008 წლიდან მოყოლებული: ტელეწამყვანი, ეკონომისტი, მინისტრი, დეპუტატი, პოლიტოლოგი, ექსპერტი, პრემიერი და პრეზიდენტიც კი (ყველა, გამსახურდიას გარდა), თანაც, არაერთხელ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ვითხოვდი კიდეც გამოხმაურებას, არც ერთ მათგანს საპასუხოდ ხმა არ ამოუღია. კონტექსტიდან ამოგლეჯილად რომ არ ჩაეთვალათ ჩემს მიერ განხილული მათი გამონათქვამები, ხშირად, მთელი ფრაზების ციტირებას ვახდენდი და, ბუნებრივია, არც ეთიკის ნორმებიდან ვუხვევდი. რაც შეეხება, კერძოდ, თემურ ქორიძეს, მე არასოდეს შევხებივარ მის მოღვაწეობას გამსახურდიას ხელისუფლებაში და არც მისი პუბლიცისტური წერილები გამიკრიტიკებია შემდგომ პერიოდში, იმ დღემდე, სანამ იგი, როგორც იტყვიან, დაუკრეფავში არ გადავიდა და უკადრებელი არ აკადრა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ჩვენს პატრიარქს და მათთან ერთად სანიმუშო ქართველს, ლევან ვასაძესაც. აბა, როგორ ვიფიქრებდი, რომ იგი გამოპასუხებას გაბედავდა, თანაც, მისთვის ჩვეულ „ზრდილობიან“ სტილში.

წერილის სათაურიდანვე ქორიძე ასე მომმართავს: „არ ჩამოვარდე, იაკობ“! არა მგონია, რომელიმე მკითხველს გაეგო, თუ საიდან ჩამოვარდნისგან მაფრთხილებს იგი, თუმცა, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ისევე, როგორც იმას, შენობით რომ მომმართავს, თუმცა, თავად აცხადებს: „ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის იაკობი, გვარად ლეჟავა, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან უკვე მეორედ **მეხმიანება“**.

ფილოლოგ თემურ ქორიძეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს (მისი სტუდენტობის ჟამს ჯერ კიდევ კარგი სწავლა იყო სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც), რომ როდესაც ვინმე უზრდელობისთვის და მკრეხელური გამონათქვამების გამო „ტრუბაში გაძვრენს“, იმაზე „მეხმიანება“ ან „შემეხმიანას“ არ იტყვიან!

არცერთი წესიერი და ნორმალური მოკამათე საპასუხო წერილს შეურაცხყოფით არ იწყებს, ქორიძე კი შესავალშივე გვარიანად მლანძღავს, უმეცარს მიწოდებს და წიგნის კითხვასაც მირჩევს, სხვა ადგილზე აზუსტებს კიდეც: „ამ კაცს ორი წიგნიც არა აქვს წაკითხულიო“. რას ვიზამთ, სხვანაირად არ ძალუძს კამათი, თანაც, იცის კაცმა და... მე ქორიძის „ბაგაჟს“, ცხადია, არ შევეხები. ვინ იცის, ეგებ, მართლაც ჭკუითაა დატენილი, თუმცა, მისი „დახვეწილი“ მეტყველებიდან გამომდინარე, ძალიან ჭირს ამის დაჯერება.

ჩემს ცნობას რაც შეეხება — „ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის იაკობი, გვარად ლეჟავა...“, უნდა ვივარაუდო, რომ თემურ ქორიძე, ალბათ, მხოლოდ თავის ნააზრევს კითხულობს გაზეთებში, კერძოდ კი, „საქართველო და მსოფლიოში“, სადაც 30—ზე მეტი ჩემი წერილი გამოქვეყნდა ბოლო წლებში, რომ არაფერი ვთქვა „საქართველოს რესპუბლიკაზე“, სადაც 100—ზე მეტ ნომერში წააწყდებოდა იგი იაკობ ლეჟავას ხელმოწერით დაბეჭდილ პუბლიკაციებს, და დაუსწრებლადაც შეეძლო ჩემზე წარმოდგენის შექმნა. მაგრამ, არც ეს არის მთავარი. მთავარი შემდეგშია:

თუ ობიექტურობაა და ჯანსაღი კამათი, მაშინ ქორიძეს თავისი უზრდელობისა და სიბრიყვის მამხილებელი ჩემი ორივე წერილი უნდა განეხილა და, რახან მან ერთ-ერთს გვერდი აუარა, კეთილი უნდა ენება, უნდა ჰყოფნოდა ვაჟკაცობა და ეღიარებინა, დაახლოებით ასეთნაირად: იაკობ ლეჟავას მიერ პირველ წერილში („ერთი ვაჟბატონის სატელევიზიო გამოსვლის ირგვლივ“) ჩემი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს სრულად ვიღებ და გადავდივარ პირდაპირ მეორე წერილზე („ისევ თემურ ქორიძეზე და გაკვრით სხვაზედაც“), სადაც ბევრი უზუსტობაა, ან ფაქტებია დამახინჯებული, ან რაღაც ამდაგვარი ფორმულირებით.

თემურ ქორიძე კი როგორ იქცევა? პირველ წერილს საერთოდ გვერდს უვლის, მთლიანად! მკითხველს შევახსენებ, რომ პირველ წერილში მე შევეცადე, საკადრისი პასუხი გამეცა ქორიძისთვის, რომელმაც უკადრებელი სიტყვებით მოიხსენია მისი უწმინდესობა, ჩვენი პატრიარქი, ჩვენს ეკლესიას კი (ფილოლოგ ქორიძის სიტყვებით — **„ქართველ** მართლმადიდებელ ეკლესიას“) ქრისტეს მოღალატე, **„ქართველი** მართლმადიდებლობის“ პირველი და დაუძინებელი მტერი უწოდა. ასე დაახასიათა მან არა რომელიმე ან რამდენიმე ღვთის მსახური, არამედ — მთლიანად(!) ეკლესია, და ეს სამჯერ(!) გაიმეორა ეთერში, თანაც, ამაყად დააყოლა: „ვიღაცეები ქვების სროლას **დაგვიწყებენ** (თავის თავს თქვენობით მიმართავს!), მაგრამ რამდენიც არ უნდა იყვირონ, ეს ასეა“! ასე რომ, ქორიძესთვის მოულოდნელი არ ყოფილა ჩემგან „ნასროლი ქვა“, რომელიც, ეტყობა, ისე მაგრად მოხვდა, რომ პირველ წერილზე სრული ამნეზია დაემართა.

სიმართლე გითხრათ, ქორიძის გაუგონარი მკრეხელობის საპასუხოდ და ზღვარგადასული უზრდელობისთვის (იმავე ეთერში მან ხომ ლევან ვასაძეს ავადმყოფი, სულელი და ფსიქიურად შეურაცხადი ადამიანი უწოდა), მართლმორწმუნე მრევლის მხრიდან ამ „ქრისტიანი“ ვაჟბატონის „ჩაქოლვას“ თუ არა, მეტი ქვების სროლას მოველოდი, მაგრამ, სავარაუდოდ, ალბათ, ჩათვალეს, რომ არ ღირს სულიერად დამდაბლებული ადამიანისთვის ქვების დაშენა, რომ ჩემგან ნასროლი ერთი ქვაც საკმარისია. ანდა, მრევლმა სხვა პრინციპებით იხელმძღვანელა: „ვირისგან წიხლი რა საწყენია“ და „გიჟი თავისუფალია“! ყველაზე მეტად გულსატკენი ჩემთვის ის არის, რომ ასეთ, პირზე რაც მოადგება, იმის მთქმელ ადამიანს, სატელევიზიო გამოსვლის შემდეგაც (სულ რამდენიმე დღეში!) დაეთმო ისეთი საინტერესო გაზეთის ფურცლები, როგორიც „საქართველო და მსოფლიოა“. ადრე ნათქვამს გავიმეორებ: მხოლოდ ლევან ვასაძე ან ნებისმიერი სხვა საპატივცემულო პიროვნება რომ გაელანძღა ქორიძეს, ძალიან მეწყინებოდა, მაგრამ დიდი ალბათობით ხმას არ ამოვიღებდი — საკუთარ ღირსებას ყველამ თავად უნდა მიხედოს, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი პასუხის ღირსად ჩათვლის ისეთ პატარა კაცს, როგორიც ქორიძეა.

მაგრამ პიროვნებაც არის და პიროვნებაც — მან ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა ეკლესიას და პატრიარქს, რომ კარგი გასილაქება მას ნამდვილად არ აწყენდა, ამ ჯერზე, სიტყვიერი მაინც, რაც, შეძლებისამებრ, ვეცადე, არ დამეკლო! თუმცა, ძვალ-რბილში, ანუ გენებში გამჯდარ ავყიაობას არაფერი შველის და ბუნების ეს კანონი თითქმის ათი საუკუნის წინათაც იცოდა ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა, როცა ამ სტრიქონებს წერდა: **„ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“!** დიდი შოთას ეს აფორიზმი კიდევ ერთხელ იმიტომ მომყავს, რომ ქორიძემ, ეგებ, შოთას მაინც დაუჯეროს — მას და მისთანებს აწი აღარაფერი ეშველებათ, ზნეს მოზარდი ვერ იცვლის ადვილად და, მით უფრო, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ზრდასრული ადამიანი!

როგორც ვთქვი, საპასუხო წერილს ქორიძე პირდაპირ ჩემი მეორე წერილიდან იწყებს და, თანაც, განიხილავს არა მთავარს — მისი სიბრიყვის დამადასტურებელ ჩემს კომენტარებს, არამედ შედარებით არაარსებით საკითხებს და იქაც ერთობ უსუსურად გამოიყურება. იმის დასაბუთებას კი არ ცდილობს იგი, თუ რა აუცილებლობა იყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მაინცადამაინც გამსახურდიას დაბადების დღეს გამართვა **(ამ დღეს, როდესაც ზვიად გამსახურდია 52(!) წლის გახდა, ფილოლოგი ქორიძე იუბილეს(!) უწოდებს),** არა, ამისთვის თავს არ იწუხებს, ეს აბდაუბდააო, ამბობს და სურს, რომ ამ ერთსიტყვიანი „ახსნით“ დავკმაყოფილდეთ. არადა სულ უმნიშვნელო არგუმენტის მოყვანა რომ შეეძლოს, განა იმას დაგვიმალავდა იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკურ სამზარეულოში კარგად ჩახედული ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი? გამსახურდიას გარემოცვიდან (ანუ ქორიძისნაირებიდან) არც არავის გაუბედავს (გნებავთ, ურჩევია) ზვიად გამსახურდიასთვის: ცოტა უხერხული ხომ არ იქნება ასეთი დამთხვევა და ეგებ, აჯობოს, სხვა დღეს გავმართოთ რეფერენდუმიო. არც იმის თქმა მოსვლია ქორიძეს თავში — დამოუკიდებლობის ქარტიაზე ცოლის ხელმოწერა ხალხში ათას მითქმა—მოთქმას გამოიწვევს და ნუ იზამ მაგასო. არც სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებელ დათმობებზე წასვლა ურჩევიათ პირველი პრეზიდენტისთვის (ვინმეს რომ ერჩია, 25 წლის შემდეგ მაინც ხომ გვეცოდინებოდა). ჰოდა, როცა ასეთ ამბიციურ, გნებავთ, ქორიძისნაირი მხარდამჭერების გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანთან გვქონდა საქმე (ოჯახურ — ცოლის და ცოლისდის გავლენაზე აღარაფერს ვამბობ!), ვითომ რატომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა, თანაც, დიდი ალბათობით, რომ დამოუკიდებლობის დღის გადმოტანა 26 მაისიდან 9 აპრილს, სწორედაც რომ პირადული მოტივებით იყო განპირობებული და არა — ობიექტური აუცილებლობით! დამოუკიდებლობის თარიღის შეცვლის მიზანშეწონილობის დასაბუთებას ქორიძე ზვიად გამსახურდიას სიტყვებით ცდილობს მხოლოდ: **„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი“.** და ამ სიტყვების სჯერა ქორიძესაც! აი, მე და ძალიან ბევრ ჩემისთანას კი არ გვჯერა, რადგანაც დამოუკიდებლობა არც 1989 წლის 9 აპრილს მოგვიპოვებია, არც — 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმით და არც იმავე წლის 9 აპრილს. დამოუკიდებლობისთვის ნამდვილად ვიბრძოლეთ, მაგრამ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მივიღეთ (და არა — მოვიპოვეთ!) 1991 წლის დეკემბერში ისევე, როგორც იგი მიიღო აბსოლუტურად ყველა(!), 15—ვე საბჭოთა რესპუბლიკამ, მათ შორის იმათაც, სადაც 9 აპრილის მსგავს გამოსვლებს საერთოდ არ ჰქონია ადგილი! **არავინ იცის, თუ როგორ „გადაწყდებოდა საქართველოს ბედი“ საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო! ძნელია, კაცს ედავო და რამეში დაარწმუნო იგი, როცა მას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა (რომელიც არაერთი წელი შეიძლება გრძელდებოდეს), ამ ბრძოლებში დაღუპულთათვის(!) პატივისაგები დღე და დამოუკიდებლობის მოპოვების(!) დღე ერთმანეთისგან ვერ განუსხვავებია.**

ის, რომ გაწითლებულ ბოლშევიკურ რუსეთს ვერც კავკასიაში, ვერც შუა აზიაში და ვერც დღევანდელ უკრაინა-ბელორუსიაში წინ ვერავინ აღუდგებოდა, ამას, მეგონა, დიდი მტკიცება არ სჭირდებოდა, მაგრამ ქორიძე საპირისპირო აზრისაა და თავისი შეხედულების დასამტკიცებლად მას ჟორდანიას მთავრობის უვარგისობის (რაშიც არ ვედავები!) მამხილებელი იმდროინდელი წერილების სათაურები მოჰყავს. მისი მტკიცებით გამოდის, რომ 1921 წელს საქართველოს სათავეში ჟორდანიასნაირი კი არა, ქორიძისნაირი ბიჭებისგან დაკომპლექტებული მთავრობა რომ ყოფილიყო, სულ კუდით ქვას ასროლინებდა რუსეთს! ალბათ, იმავეს დავმართებდით რუსეთს 2008 წლის 8 აგვისტოს სახელით ცნობილ ომშიც მიხეილ სააკაშვილის ნაცვლად თემურ ქორიძე რომ გვყოლოდა სარდლად!

ჩემს მოსაზრებას, რომ **„ვერც დღევანდელ საქართველოს გადაარჩენს ვინმე (ნატოს ჩათვლით!), თუკი რუსეთი, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვლის დანარჩენი საქართველოს ოკუპაციას“,** ქორიძე ასეთ კომენტარს უკეთებს: „ადამიანი, რომელიც ამას დაბეჯითებით ამტკიცებს, ვერასოდეს ჩასწვდება ერის და, საერთოდ, კაცობრიობის ეგზისტენციალურ კანონზომიერებებს“! შესაძლოა, თემურ ქორიძე მართლაც ჩასწვდა ეგზისტენციალურ კანონზომიერებებს (რაშიც ეჭვი მეპარება), მაგრამ როგორ გგონიათ, ამის მთქმელს რამე ესმის გეოპოლიტიკის? ან, საერთოდ, გეოპოლიტიკა რა ხილია, იცის?!

თავის საპასუხო წერილში ქორიძე საერთოდ არ ახსენებს იმ ადგილებს, სადაც ფაქტების დამახინჯებასთან ერთად მისი სიბრიყვეც გამოსჭვივის: **ხმას არ იღებს თავის მიერ „დიდებულ და გაბრწყინებულ სამ წლად“ შეფასებულ დროზე, ანუ იმ დროზე, როცა თავად იყო ხელისუფლებაში** (ოღონდ, იყო არა სამი, არამედ, — არასრული ერთი წელი; უკვე მესამედ „ეშლება“ ხუთის ფარგლებში ანგარიში კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს!), როცა სამოქალაქო დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდა; **და არც იმაზე, რომ ქორიძის ერთობ ნაკითხი ჭკუით სახელმწიფოს თურმე ფანატიკოსები უნდა მართავდნენ, ოღონდ, ქორიძისნაირი ფანატიკოსები!** მიდი და ედავე ამის შემდეგ ეგზისტენციალიზმში ჩახედულ თემურ ქორიძეს!

იაკობ ლეჟავა.

23 ივნისი, 2106

„კანონპროექტს ძალით ვერ გამოვიტანთ“

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიღების სექტემბრამდე გადატანას ითხოვს. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კი განმარტავს, რომ საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის დღის წესრიგში მესამე მოსმენით დგას და მასში არსობრივი ცვლილებები ველარ განხორციელდება. „ვსაუბრობთ კანონპროექტზე, რომელიც მესამე მოსმენამდე არის მიყვანილი. მასში ვერაფერს ველარ შევცვლით — ის ან უნდა მივიღოთ რედაქციულ-ტექნიკური შესწორებებით ან არ უნდა მივიღოთ. ეს იქნება აგვისტოში, სექტემბერში, თუ ივნისში, მდგომარეობა ასეთია. აქ ჩვენ ძალას ვერ ვიხმართ. თუ არაფერს არ ვიზამთ სექტემბერში, ისევ მოვალთ აქ და ასე შემდეგ. მესმის, რომ კანონპროექტს ძალით ვერ გამოვიტანთ, თუმცა ეს სისტემისთვისაც და ჩვენთვისაც პოლიტიკურად დამაზარალებელი თემაა. მგონი, ეს ყველას გააზრებული გვაქვს“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

◎ დიდი რეჟისორის ჩანახატი დიდ მსახიობზე

თემურ ჩხეიძე

ოთარ მეღვინეთუხუცესი


„ანტიგონე“

ოთარ მეღვინეთუხუცესი რომ უდიდესი მსახიობი იყო, ამას ჩვენი დასტური არ სჭირდება. ის თეატრსა და კინოში სრულიად გამორჩეული ფიგურაა. ვერ დავიჩემებ, რომ ბევრი მიმუშავია ოთართან, მაგრამ რაც ერთად შევქმენით, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იყო ოტელო უ. შექსპირის „ოტელოში“, კრეონი ჟ. ანუის „ანტიგონეში“, უჯუშ ემხა ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბაში“. რაც შეეხება ჩემს სპექტაკლს „ილია ვარ“, აქ ოთარს ერთადერთი მონოლოგი ჰქონდა. ის განასახიერებდა ექიმ იაშვილს, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ დაწერა სამედიცინო დასკვნა. ამ მშრალი ტექსტის გარდა („აქ ეს ჭრილობაა, იქ ტყვიამ, ესა და ეს ორგანო დააზიანა და ა. შ.“), ოთარ მეღვინეთუხუცესს სხვა სათქმელი ტექსტში არ ჰქონდა, მაგრამ ისეთი ძლიერი შინაგანი ემოციით ამბობდა უბრალო სიტყვებს, მის ხმაში იგრძნობოდა ელდაგადატანილი ქართველი კაცის ტრაგედია. არა ტექსტი, არამედ ხმა და გამომეტყველება ამ პერსონაჟისა გვარწმუნებდა, რომ მსახიობისთვის არ არსებობს მხოლოდ პირველი და მეორე პლანი, რომ არსებობს მესამე პლანიც და ეს სამი პლანი მთლიანად იშლებოდა ჩვენ თვალწინ. მისი იაშვილი იყო ერთდროულად ექიმი, ქართველი კაცი, რომელიც მხოლოდ ახლა იმეცნებდა მომხდარის მთელ სიმძიმეს. მსახიობი ჩვენ თვალწინ აანალიზებდა ამ უზარმაზარ ტრაგედიას და აანალიზებდა ისე, რომ ყოველივე ამის მომცველი ერთი ფრაზაც კი არ ჰქონდა სათქმელი. მისგან მხოლოდ სამედიცინო დასკვნის მშრალი ფრაზები ისმოდა და ყველაფერი დანარჩენი თვითონ მისგან იღვრებოდა...


„ოტელო“

ვისაც ოთარი რეპეტიციაზე არ უნახავს, მას, მე მგონია, ბოლომდე არა აქვს აღქმული მისი სიდიადე. მინდა, გიამბოთ სპექტაკლ „ოტელოს“ ერთი რეპეტიციის შესახებ. ვისაც ნანახი აქვს ეს წარმოდგენა, ისიც ემახსოვრება, რომ ჩვენი ოტელო შავკანიანი იყო მხოლოდ სპექტაკლის დასაწყისში და მის დასასრულს. დანარჩენ ეპიზოდებს ოთარი თამაშობდა უგრიმოდ, ანუ თავისი სახით. როდესაც მუშაობას ვიწყებდი, მე ეს გადაწყვეტა არ მქონდა. რეპეტიციის მსვლელობისას, ეპიზოდში, რომელშიც იაგო პირველად აწვეთებს ეჭვს ოტელოს დეზდემონას შესახებ, ის მარტო რჩება სცენაზე და ამბობს ცნობილ მონოლოგს, რომელიც იწყება ტექსტით: „ცოლს რად ვირთავდი“... მე ვთხოვე, რომ სცენაზე მარტო დარჩენისთანავე არ დაეწყო ეს მონოლოგი. შევთავაზე, მოდი, ცოტა ხანს სრულ სიჩუმეში დარჩი, იფიქრებ და როცა მოგინდება და იგრძნობ, მხოლოდ მაშინ დაიწყე-მეთქი. ნუ შეუშინდები ხანგრძლივ პაუზას, ის კი არადა, თუ გინდა, რაიმე ანგარიშმიუცემელი მოძრაობები და მოქმედებები გააკეთე სცენაზე. სცენის სიღრმეში რაღაც ტომრები ეყარა. ოთარი ამ სცენურ პაუზაში მათკენ გაეშურა, ტომარას ხელი მოჰკიდა და ერთი კუთხიდან მეორეში გადაიტანა. მერე, ცოტა ხანში, ისევ მოავლო ხელი გადატანილ ტომარას და რატომღაც ისევ უკან დააბრუნა – იგრძნობოდა, რომ ავტომატურად აკეთებდა ამ ყველაფერს, თუმცა, რაღაცას ფიქრობდა და უცებ თქვა: „ცოლს რად ვირთავდი“... ამ ფრაზის თქმის შემდეგ, რომ იტყვიან, ელეთ-მელეთი მოუვიდა – ჯერ სისხლმა აასხა სახეზე და მთლიანად გაწითლდა, მერე ნაცრისფერი გაუხდა და, ბოლოს, მიტკალივით გადაუთეთრდა. და მე მივხვდი, რომ ნათქვამ ფრაზას უკვე აღარანაირი სხვა სიტყვები აღარ სჭირდებოდა.

რეპეტიციიდან შინ მისულს ამეკვიატა ერთი აზრი – ოთარს ოტელოს როლში თუ შავი გრიმი ესმებოდა სახეზე, მაშინ ვერავინ დაინახავდა იმ განცდებს, რაც მე დავინახე რეპეტიციაზე. რა გავაკეთო, რა მოვიფიქრო ისეთი, რომ ეს თავზარდამცემი პროცესი შინაგანი ჭიდილისა მქონდეს სპექტაკლში და, მეორე მხრივ, შევინარჩუნო ისიც, რაც შექსპირს უწერია, რომ ეს კაცი არის მავრი და არა თეთრკანიანი. აი, სწორედ ამის გამო სპექტაკლი იწყებოდა მავრი ოტელოთი იმის ხაზგასმასმელად, რომ პიესა ყურადღებით მქონდა წაკითხული. შემდეგ კი ჩემთვის მნიშვნელოვანი გახდა, რომ ოთარს სახე თავისუფალი ჰქონოდა გრიმისგან, რომ მაბრალებდნენ, თეთრი ოტელო ჰყავსო, ამას თავისი ზემოთ ხსენებული მიზეზი ჰქონდა.

ჩვენი ბოლო ერთობლივი ნამუშევარი იყო „ანტიგონე“. როდესაც ოლეგ ტაბაკოვმა ნახა ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში, შემომთავაზა, რომ პიესა სამხატვრო თეატრში დამედგა. მე აღარ მინდოდა მისი დადგმა რუსეთში, რადგან აქ ოთარი შესანიშნავად თამაშობდა ჩემს სპექტაკლში. ამიტომ ტაბაკოვს ვეუბნებოდი ტაქტიან უარს, რომელსაც ერთხელ ასეთი ფრაზა დავუმატე: „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთ კრეონს თქვენთან სად ვიპოვი-მეთქი“. ამ არგუმენტმა ცოტა ხანს გაჭრა – ვერაფერი მიპასუხა, თავისი სიჩუმით თითქოს დამეთანხმა. ზემოხსენებული საუბრიდან დაახლოებით ერთ თვეში ოლეგ ტაბაკოვმა ისევ დამირეკა და მითხრა, კრეონი უკვე ვიპოვეო. ვინ არის-მეთქი, ვკითხე. ოთარ მეღვინეთუხუცესიო, – კითხვა შემომიბრუნა. აქცენტი რომ ექნება-მეთქი? – ვკითხე ისევ. აქ ტაბაკოვმა ისევ მიპასუხა, დღემდე მახსოვს. „ოთარი ისე თამაშობს, იმ რანგის არტისტია, სპექტაკლის დაწყებიდან ხუთ წუთში მისი აქცენტი აღარავის ემახსოვრებაო“! და მართლაც...

ოთარ მეღვინეთუხუცესის ნამუშევარი რუსულ სცენაზე, როგორც ყველამ ვიცით, უმაღლეს თეატრალურ დონეზე შეფასდა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მან მთელი სამსახიობო კოლექტივზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთმა ცნობილმა მსახიობმა მითხრა: „მეღვინეთუხუცესმა აქ, სამხატვრო თეატრში, სტანისლავსკის სახლში, სტალინისლავსკიზე მასტერკლასი ჩაგვიტარაო“.

მართლაც ასე იყო!

ხმალი

(ნამდვილი ამბავი)

ამ ისტორიას, რომელიც დიდი ხანია, აღარც მახსოვდა, აქვს თავისი გაგრძელება, რაც ერთ დიდ ნერვიულობად დაუჯდა კოტეს.

დიდი გაწამაწია იყო მის ოჯახში. როგორც იქნა, გადაწყვიტა მისმა შვილმა, შეექმნა საკუთარი ოჯახი, რამდენი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ.

ვის ოჯახში არ ყოფილა ქორწილი, ვის არ გაუთხოვებია ქალიშვილი ან არ დაუქორწინებია ვაჟიშვილი. მაგრამ, თურმე, როდესაც ეს შენ გაწვება კისერზე, სულ სხვა რამ ყოფილა...

დიდი ამბავიო, იტყვის ბევრი. ყოველთვის მოიძებნება ოჯახში ქორწილისათვის საშუალებებიც, პირობებიც. მით უმეტეს, მისი ოჯახი არც ისე უქონელია, ბიჭიც წარმატებულია სამსახურში და შემოსავალიც რიგიანი აქვს. თუმცა, ფიქრსა და გაწამაწიას რა გამოულევს ქართველ კაცს!?

და აი, კიდევ!

კარზე ვიღაცამ დარეკა.

იქე იყო კართან. გააღო.

– ბატონი კოტე აქ ცხოვრობს? – იკითხა ასე 35-40 წლის მამაკაცმა, რომელსაც, აშკარად ეტყობოდა, ჩვენებური არ უნდა ყოფილიყო.

– დიახ, რა გნებავდათ?

– თუ შეიძლება, თქვენთან მაქვს საქმე, – ეტყობა, მიხვდა უცნობი, რომ კოტე ის იყო.

ცალკე ოთახში შევიდნენ.

– მე ჩეხეთიდან ვარ. რომ იცოდეთ, რამდენს დაგეძებდით. მარტო მე კი არა, მამაჩემიც...

– რა ხდება? – დაიბნა კოტე.

– მიზეზი ერთობ რთულია და უცნაურიც.

– ჩემგან რა გნებავდათ? – ცოტა აღელდა კოტე.

– იცით რა, – დაიწყო დაბნეულად სტუმარმაც. – თქვენ ყოფიხართ პრაღაში, დაახლოებით ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ...

– კი, ვიყავი მეგობართან ერთად ტურისტულ მოგზაურობაში. რატომ დაგაინტერესდით?

– ინტერესი დიდი და უცნაურია. ერთობ ბუნდოვანიც, რამაც შეიძლება გაგაღიზიანოთ კიდეც...

ამ სიტყვებმა ერთგვარად მართლა გააღიზიანა კოტე, რაც სტუმარს შეუძლებელია, არ შეემჩნია. თუმცა, თავი შეიკავა და მხოლოდ ეს თქვა:

– მაპატიეთ, უბრალოდ სიტუაციაა ისეთი.

– ვიცი, რა სიტუაციაცაა. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ სხვა რამეზე მინდოდა, მეთქვა რაღაც.

– გრძანეთ, გრძანეთ. ხვალ შვილის ქორწილი მაქვს და დიდ პატივს დამდებთ, თუ თქვენც გვეწვევით, – ვერ დამალა, გვარიანად უგულოდ გამოუვიდა ეს.

თუმცა, სტუმარს ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია: – ვიცი, თქვენ რომ გეძებდით აქ, ესეც გავიგე. უბრალოდ...

– აღარ იტყვით, რა დავაშავე? – შეეცადა კოტე, ელფერი მიეცა ტონისათვის.

– პრაღაში თქვენ ყოფილხართ მამაჩემის იარაღის მაღაზიაში...

იარაღის მაღაზია რომ ახსენა, დაფიქრდა. იქ მაშინ სად არ ყოფილა. იარაღის მაღაზიაშიც, მუზეუმებშიც, პარკებშიც, თეატრშიც, ძალიან მოეწონა პრაღა, მისი სილამაზე, ხედები. ბევრ ადამიანსაც გაესაუბრა. აღფრთოვანება დღემდე არ განელებია.

– კი, კი, შესანიშნავი ქალაქია. მე მგონია, თქვენი და ჩვენი ხალხებიც ერთმანეთს ჰგვანან – უბრალოებით, სიკეთით, კეთილშობილებით და, რა ვიცი – ბევრი სხვა შესანიშნავი თვისებით.

– მე თქვენ მამაჩემის დავალებით მოგაკითხეთ, – შეაწყვეტინა სტუმარმა, – თქვენ მაშინ მის მაღაზიაში ყოფილხართ და ხმალი წამოგიღიათ. ქართული ხმალი. თუმცა, მასში საფასური არ გადაგიხდიათ. მამაჩემი მაშინ, თურმე, მთელი კვირა დაგეძებდათ. დადიოდა სასტუმროებსა და პოლიციის განყოფილებებში – რომ დაედგინა ასეთი და ასეთი გარეგნობის, ელერის, სიმაღლის, მეტყველების ადამიანის წარმომავლობა. დიდ ომში ერთ ქართველს დამეგობრებია და ვერ წარმოედგინა, თუ მისი ერის წარმომადგენელი ასეთ რამეს ჩაიდენდა. როცა ყველაფერი დადგინდა, უნდოდა აქეთ წამოსვლა, თქვენთან შეხვედრა, თანაც მრავალი წლის განმავლობაში. ვერ მოახერხა. ბოლოს, სიკვდილის წინ ეს საქმე მე დამიბარა ანდერძად...

ასეთი რამ რაღაც აღარ ახსოვდა – ეყიდა რამე და ფული არ გადაეხადა.

– ...მინდოდა, რომ რაიმე სიმბოლური თანხა მაინც წამეღო აქედან მის საფასურად, – დაამთავრა ჩეხმა და ღრმად ჩახედა თვალებში მასპინძელს.

– რას მიედ-მოედებით, – გაახსენდა ყველაფერი. – მე ხმლის საფასური გადავიხადე, მაგრამ არ წამომიღია. იქვე მაგიდაზე დავდე. ვიფიქრე – ასეთი ლამაზი ქართული ნივთით სხვებიც დატკბნენ-მეთქი. თქვენ კი მაბრალებთ, რომ მე ის იქიდან მოვიპარე, – უკვე აღარ მალავდა აღშფოთებას.

– დაწყნარდით, ბატონო კოტე, – უთხრა სტუმარმა. და გულიანად გადაიხარხარა. – აი, ის თქვენი ხმალი „გორდა“ და მისი გადახდის ქვითარიც. მამაჩემს ის საამაყოდ მიაჩნდა, ვიტრინიდან არ ჩამოუღია და არც ვინმესთვის მიუყიდია.

ჩეხი წამოდგა, კართან დადგმული ყუთიდან ხმალი ამოიღო, დააძრო ქარქაშიდან და სახეგაბრწყინებულმა დაუმატა:

– მინდოდა მეხუმრა, მაგრამ არ გამომივიდა უნიჭოს. გვინდა, რომ ეს თქვენი „გორდა“ იყოს ჩვენი სამახსოვრო საჩუქარი თქვენი ვაჟიშვილის ქორწილისათვის.

მეორე დღეს ქორწილში სტუმრის თანდასწრებით დაილია ჩეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის სადღეგრძელოც და იმ ხმლისაც, რომელიც ნეფე-დედოფლის უკან კედელზე ეკიდა ქარქაშიდან ამოღებული იმ ქარქაშის გვერდით და რომელიც თითქოს ამბობდა: მე „გორდა“ ვარ, კარგად დამაკვირდით!

ზურაბ ლომიძე

ნუ მაღლდებით, გხედავთ, ზვირთებო!

კონსტანტინე გამსახურდია და ვიქტორ გაბესკირია. 1964 წ.

ერთხელ აღვნიშნე: რომ არა ვიქტორ გაბესკირიას პოეზია, ალბათ, არ გვექნებოდა თამაზ ჩხენკელის მიერ უებრად გადმოქართულებული, ტანის ეპოქელი პოეტის ბო ძიუ-ის ლექსთა კრებული, რა კრებულმაც შესამჩნევი გავლენა იქონია თანამედროვე ქართულ პოეზიაზე.

შევადაროთ ერთმანეთს ამ ორი პოეტის ნახელავი.

ბო ძიუ-ი:

„ჩემს მდარე ლექსებს, კედლებზე მიწერილს,
კაცთა მოდგმისთვის არა აქვს ფასი,
ნიშანთა მწკრივი დაფარა მტვერმა
და ჟამთასვლისგან მოედო ხავსი.
მხოლოდ იუანი, ხელმწიფის კაცი,
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს,
არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს,
აშორებს მტვერს და კითხულობს ლექსებს“.

ვიქტორ გაბესკირია: „მაყვლის ბუჩქები“:

„თუნდაც ინატრონ, წალკოტში მათ
არვინ არ ჩარგავს,
დგანან გზის პირას თუ ტყის პირას, შეუხედავნი,
არ ერიდება არასოდეს იმათ დაჩაგვრას
კაცი ქვეითად მიმავალი, გინდა მხედარი.
ქვეყნად არავინ არ შველის მათ, არ ეხმარება,
და ასე მიდის ამა სოფლად მათი დღე-ღამე,
მაგრამ ისინი მაინც, კაცთა გასახარებლად,
საოცრად ლამაზ და საკვირველ ნაყოფს ისხამენ“.

ასე ახასიათებენ თავთავიანთ შემოქმედებას, ბო ძიუ-ი და ვიქტორ გაბესკირია.

ჩინელი პოეტი გვეუბნება, ჩემი მდარე ლექსები ვის რაში დაკარგვიაო. არავითარი ფასი მათ არ გააჩნიათ, მტვერმა და ხავსმა დაფარაო.

ქართველი პოეტი გვეუბნება, ჩემი ლექსები დაჩაგრულნი არიანო, არავინ იმათ არ ამჩნევსო. არავინ იმათ წალკოტში არ ჩარგავსო. სხვათა შორის, სიტყვამ „წალკოტმა“ მოიტანა, და, ცხონებულმა მურმან ლებანიძემ რომ შეადგინა და გამოსცა „შედევრების“ კრებული, ბატონი ვიქტორის არაცერთი ლექსი არ შეიტანა, არადა, ჩემი გაგებით, კარგა ათამდე შედევრი მაინც უნდა შეეტანა, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მან მხოლოდ ლექსის საწყისი სტრიქონი წაიკითხა და არ ჩავიდა ბოლოში, ანუ ვერ დაემგვანა იმ ხელმწიფის კაცს, პოეზიის ფრიად მცოდნესა და მოყვარულს, რომელიც „არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს, აშორებს მტვერს და კითხულობს ლექსებს“, ანუ არ იქნა ის კაცი, ქართველი პოეტის გამონათქვამი რომ შეესმინა და „საოცრად ლამაზი და საკვირველი ნაყოფი“ დაეგემოვნებინა.

ბო ძიუ-ის ლექსებს რომ კითხულობ, ვიქტორ გაბესკირიას პოეზია გაგონდება. ერთმანეთს არ იცნობდნენ, ცხადია: „ჩემს მწუხარებას გაიგებდა ტაო ძიანი, მაგრამ სხვა და სხვა საუკუნეს დავიბადენით“. ტაო ძიანი იგივე ტაო იუან მინია. IV საუკუნელი დიდი ჩინელი პოეტი. მსგავსი რამ შეეძლო ეთქვა ბატონ ვიქტორსაც, მაგრამ სად VIII საუკუნე და სად XX საუკუნე. თანაც ერთი ძენის მიმდევარია. მეორე – სახარების, შემოქმედებას კი ერთნაირად აღიქვამენ. ორივეს ნახელავი სადაა და უბრალო, სინათლიანი, ადამიანური, და, ალბათ, ისიც კი არის საგულისხმო, რომ მსგავსია ჩინური და ქართული ბუნება. იქაც და აქაც ხარობს ჩაი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ზეთისხილი. როგორც გამოჩნდა, ჩინელი პოეტის კონ-გენიალურმა მთარგმნელმა ეს ყველაფერი გაითვალისწინა:

„მარხვის ჟამი მიილია უკვე,
ღვინო მენატრება ისევ,
სახლის კარიბჭეზე ვიღაც აკაკუნებს,
ადრე, გამთენიის პირზე,
ლან-ჯის გარდა. კართან
ძლივს რომ მოათრია
ღვინით ავსებული ბოცა,
უთენია განა სხვა ვინ იფიქრებდა
ჩემთან საქეიფოდ მოსვლას“.

ერთხელაც, ბატონ ვიქტორს ბინის კარზე მიადგა ერთი ბებერი წყნეთელი მემაწვნე. მასპინძელმა შინ შეიპატიჟა – მცირე სუფრა გააწყო, გაესაუბრნენ ერთმანეთს. მაწვნის ქილები ამოალაგებინა, ხელი დააცლევინა, თანხა გადაუხადა და ასე გაისტუმრა. ჩემს მიერ მოთხრობილ ლექსში კი, ჩინური გარემოა გამოყვანილი თუ ქართული?

„ასოციაციებს ვერ ვეშვები:

პუშკინი წერს: „Вется локон золотои“.

ვიქტორ გაბესკირია:

„შებინდულია ფანჯრების მინა,
უკვე არ ჩანან მინდვრები, მთები,
თეთრ ბუმბულებში პატარებს სძინავთ,
შემოჰფანტვიათ ხუჭუჭა თმები“.

ბო ძიუ-ისა და გაბესკირიას სურათები საუკუნეებს გაუძლებენ. ბო ძიუ-იმ უკვე გაუძლო. თორმეტმა საუკუნემ გაიარა. გაბესკირიას პოეზია ჯერ კიდევ ელის ჭეშმარიტ მკითხველს და დამფასებელს. დადგება ის დრო, თუნდაც ამ ოთხიოდ სტრიქონს, ახლა რომ მოვიტანე, ვერანაირი ჟამთასვლა ვერ დაჯაბნის. გახუნდება გენიალური ნახატები (ფერწერას ვგულისხმობ), მაგრამ ამ სტრიქონებს გაქრობა არ უწერია, როგორც არ უწერია გაქრობა ჩვენებურ წესსა და ადათს.

„აი, ზღვისპირი, ნუ მაღლდებით, გხედავთ, ზვირთებო!“

ერთი პირობა, ვაუას „სტუმარ-მასპინძელზე“ ჩავიფიქრე, რაღაც ესეის მსგავსი დამეწერა, რომლის ეპიგრაფადაც ვიქტორის ეს უაღრესად ქართული გამონათქვამი მინდოდა წამემძღვარებინა.

ვიქტორ გაბესკირიას პოეზია თავის დროზე შეაფასეს ისეთმა ერუდირებულმა ლიტერატორებმა, როგორებიც იყვნენ ცხონებული აკაკი ბაქრაძე და გიორგი ნიშნიანიძე. და არის რეზო კვესელავა, ბატონი ვიქტორის უმცროსი მეგობარი და მისი პოეზიის ფრიადი მცოდნე და მოყვარული.

ერთხელაც, რეზოს, როცა სალიტერატურო გაზეთი „სიტყვა“ გვქონდა, ვთხოვე, გაეხსენებინა ბატონი ვიქტორი. რეზომ შესანიშნავი ესე შექმნა, რაც გამოვაქვეყნეთ, და სადაც ერთი ასეთი ეპიზოდი აქვს ჩართული:

სხედან დიდოსტატები: პოლიკარპე კაკაბაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, აკაკი გაწერელია, ვიქტორ გაბესკირია და საუბრობენ თანამედროვე ქართულ კაზმულ-სიტყვაობაზე. ვერ მოითმინა ყმაწვილმა ლიტერატორმა და რატომღაც ახსენა რემბო თუ ვერლენი, რაზედაც ბატონმა ვიქტორმა თავისი შეხედულება ასე გამოხატა: „ეჰ, რეზო, რეზო!“ მსგავსი რამ შეიძლება ითქვას ჩვენს თანამედროვე პოეზიაზე, მაგრამ ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ. თანაც, ნურც იმას ვიფიქრებთ, ჩვენ რასაც ვამბობთ, არ ესმოდეს თავად ბატონ ვიქტორს, რომელმაც ა-ნიდან ჰაე-მდე იცოდა ნამდვილი პოეზიის გემო და არსი.

ა-ნი პატარაა. ჰ-აე კი ცაში მიდის, ა-ნი სოფელია, ჰაე ზესთასოფელი. ამ ორ სოფელს შუა მოქცეული პოეზიის ერთ-ერთი განმასახიერებელი და, ეპითეტია: ვიქტორ გაბესკირია.

მურმან ჯგუბურია.

P. S.

თამაზ ჩხენკელი გვეუბნება:

ვიქტორ გაბესკირიას პოეზია იმას მოგვაგონებს, კარგა გადაშუაღამებულზე რომ მდინარეს მიადგები, რათა მეორე ნაპირზე გადახვიდე, და ბორანი და მებორნე რომ ფხიზლად დაგხვდება.

ცხონებულ თამაზს, მსგავსი შედარება, ალბათ, ბატონი ვიქტორის ამ გენიალურმა სტრიქონებმა უკარნახა:

„ზოგჯერ ფიქრებში, ისე შორს ხართ და ისე გხედავთ,
როგორც ნისლიან დღით ბორანზე შეჯგუფებულებს“.

და ბოლოს: ზემორე ვახსენე, ბატონ ვიქტორს ათამდე შედევრი მოეპოვება-მეთქი. პოეზიის მოყვარული იმ შედევრებს თავად მიაგნებს. მე კი მინდა, ახლა, ეს ერთი შედევრი წაგიკითხოთ:

„როცა ზღვა არი ცისფერი და მშვიდი სრულებით,
გინახავთ თეთრი იალქნები როგორ ჩნდებიან,
სხვადასხვა მხრიდან მოკრძალებით წამოსულები
ერთმანეთს დიდხანს უცქერენ და დაშორდებიან.
შენ კმაყოფილი შენი ბედით მუდამ იქნები
კეთილი გულით მოფუსფუსე, მზრუნველი სხვაზე,
მაგრამ ფიქრები ჩვენი, ისე, ვით იალქნები,
ზოგჯერ ერთმანეთს შეხედავენ ცხოვრების ზღვაზე“.

ეს ლექსი რომ პირველად წავიკითხე, მაშინვე გავიფიქრე, ამ ლექსს თავად პუშკინიც კი მოაწერდა-მეთქი ხელს. მას აქეთ თითქმის ნახევარმა საუკუნემ ჩაიარა, აზრი კი არ შემცვლია: ეს ლექსი ისევ იმას მეუბნება, რაც მაშინ მითხრა: „მე იგივე ვარ, მარად და მარად“.

ბ. ჯ.

◎ „რუსთაველიდან – გალაკტიონამდე“...

თუ გული გულობს და ერი ერობს...

სახელისუფლებო პარტიის „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას სამი მწვერვალი აქვს (ჰყავს): შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე.

წელს სამივე იუბილარია: შოთა – 850, ვაჟა – 155, გალაკტიონი – 125.

სამი ტიტანის იუბილე ერთდროულად! – ამის აღნიშვნა დალხინებულ ქვეყანასაც გაუჭირდებოდა.

მაინც უნდა აღინიშნოს.

ხომ არ აჯობებს, სამივე გენიოსს ერთი დიდი საღამო მიეძღვნას, სახელწოდებით:

„რუსთაველიდან – გალაკტიონამდე“.

კარგი იქნება, თუ ეს ზეიმი სექტემბრის ბოლოს გაიმართება.

იქამდე ორნახევარი-სამი თვეა დარჩენილი. შეიძლება, მითხრან, რომ ეს დრო საკმარისი არ არის, მაგრამ თუ გული გულობს, ორ თვეშიც მოესწრება.

დაე, დაირაზმონ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მკვლევარები (ლია სტურუა, ეთერ თათარაიძე, ვახტანგ ჯავახაძე, გრიგერ ფარულავა, თემურ დოიაშვილი, როსტომ ჩხეიძე...), სახელგანთქმული რეჟისორები (რობერტ სტურუა, გიზო ჟორდანია, თემურ ჩხეიძე), ბრწყინვალე მსახიობები (მარინე ჯანაშია, ნინელი ჭანკვეტაძე, ლელა ალიბეგაშვილი, ნინო კასრაძე...) და შექმნან გრანდიოზული სანახაობა.

თავის დროზე, გალაკტიონმა დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა: **„თუ ივერიის რიცხობრივად პატარა ერი, როგორ გადარჩა და გადარჩა ის, როგორც ერი.“** ამ ურთულეს საკითხს გენიოსმა თვითონვე მოუძებნა განსაცვიფრებელი ახსნა: **„აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება“**...

დიახ, პოეზიას ერის გადარჩენა ძალუძს.

ჰოდა, ჩვენც, ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნების წინ, კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ პოეზიით შემჭიდროებისა და ქვეყნის გადარჩენის მაგალითი.

პატივისცემით,
იოსებ ჭუმბურიძე

P. S. ამ იდეას სოციალურ ქსელში უკვე მოჰყვა არნახული გამოხმაურება. **შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ეს მთელი ქართველი ერის სურვილი და გულისწადილია. ხელისუფლებამ სწორედ ხალხის გულის ფეთქვას უნდა მიაყურადოს. მიაყურადოს და შესატყვისად იმოქმედოს, ხოლო თუ გული გულობს და ერი ერობს, სამი ტიტანის იუბილე ერთდროულად აღინიშნება...**

ვანური თაფლი „საჩინო“

კოოპერატივი „თაფლი საჩინო“ ქალაქ ვანში 60 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს და თაფლის გადამმუშავებელ საწარმოს შექმნის. პროექტის განსახორციელებლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ კოოპერატივს ქალაქ ვანში, რუსთაველის ქუჩა №22-ში მდებარე 674 კვ.მ. უძრავი ქონება და მიწის ნაკვეთი 5 000 ლარად საკუთრებაში გადასცა. საწარმოს ყოველდღიურად 4 ტონა თაფლის გადამუშავების შესაძლებლობა ექნება. ასევე, შეიქმნება 10 სამუშაო ადგილი.

სააგენტოს ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით კოოპერატივი ფლობს 1500 ოჯახ ფუტკარს, რომლისგან მიღებული თაფლის გადამუშავება სამომავლოდ ზემოაღნიშნულ საწარმოში იგეგმება. „კოოპერატივი თაფლი საჩინო“ 5 კოოპერატივის გაერთიანებას წარმოადგენს, სადაც მეპაიეთა რაოდენობა ჯამში 51 წევრს შეადგენს და უახლოეს პერიოდში 70-მდე გაიზრდება.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველი სამხედროების რაოდენობა აფრიკაში, მიუხედავად სკანდალისა, მაინც გაიზრდება

უახლოეს პერიოდში ხუთ ქართველ ოფიცერს, რომლებიც დღეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფებიან ევროკავშირის სამშვიდობო მისიით, შეუერთდება საქართველოს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ორი ათეული.

ქართველი სამხედრო მოსამასხურეების კიდევ ერთი ოცეული გაიგზავნება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამშვიდობო მისიის ფარგლებში. ამ ფაქტს თბილისში ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმი უწოდეს. ამ დროს ბრალდებათა კვლევა ქართველი სამხედროების მისამართით ძალადობის ჩადენაში არასრულწლოვნებზე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

უახლოეს პერიოდში ხუთ ქართველ ოფიცერს, რომლებიც ამჟამად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფებიან ევროკავშირის სამშვიდობო მისიით, შეუერთდება კიდევ 20 ქართველი სამხედრო მოსამსახურე. ოცეულის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება წინა საღამოს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. გვესაუბრება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი:

„ჩვენი ოცეული მიდის არა სამშვიდობო მისიის შესასრულებლად, არამედ საწვრთნელ მისიაში მონაწილეობისათვის. ესე იგი, თუ აქამდე ჩვენ სამხედროებს წვთრნიდნენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, დღეს ჩვენთან პროფესიონალიზმი იმდენად შეაფასეს, რომ უკვე ჩვენ ვწვრთნით და ვეხმარებით სხვა ქვეყნებს. ეს საქართველოს შეიარაღებული ძალების თავისებური პროფესიონალიზმის აღიარებაა“.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამშვიდობო მისიას საქართველო შეუერთდა ორი წლის წინათ. მისი ძირითადი მიზანია — ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა, მთავრობის დახმარება ბანდფორმირებათა დანგრევაში.

საქართველოს მიერ კიდევ ერთი ოცეულის გაგზავნა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში — ეს არის შესანიშნავი შესაძლებლობა საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებისათვის — გამოიჩინონ თავი მწვრთნელების სახით, მიაჩნია ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორს ირაკლი ალადაშვილს. მაგრამ ქართული არმიისათვის მთლიანად „სურათი არაფრით შეიცვლება“, ამბობს იგი. ორი წლის წინათ ხომ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს წარმოადგენდა გაცილებით მეტი მშვიდობისმყოფელი, თუ ზუსტად ვიტყვით — 156 კაცი.

„საქართველო 1999 წლიდან მონაწილეობას ღებულობს ასეთ სამშვიდობო ოპერაციებში — კოსოვოში, ერაყში, ავღანეთში, იმავე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ასე რომ, ქართველ სამხედროებს დაუგროვდათ ბევრი გამოცდილება და მათ შეუძლიათ უკვე ასწავლონ სხვებსაც. მით უმეტეს, რომ ეს არ დაწყებულა (ქართველი სამხედრო მოსამსახურეების წარმომადგენელთა მიერ წვრთნა სხვა ქვეყნებში) ამჟამად. უკვე რამდენიმე წელიწადია, ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები ასწავლიან ავღანეთის არტილერისტებსა და სხვა სამხედროებს. ასე რომ, ეს გზა ჩვენ დიდი ხანია, დავიწყეთ“.

ამ დროს გადაწყვეტილება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქართული ოცეულის გაგზავნის შესახებ მიღებულ იქნა ჯერჯერობით დაუმთავრებელი დავის ფონზე, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიაყენა ქართველი სამშვიდობოების რეპუტაციას ცენტრალური აზიის რესპუბლიკაში. საკითხი შეეხება ქართველი სამხედროების შესაძლო მონაწილეობას არასრულწლოვნებზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის წინათ საქართველოში დაბრუნდნენ საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც იმყოფებოდნენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ინციდენტის გამოკვლევისათვის, ამბობს ამ ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ჩაჩანიძე:

„ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი საგამოძიებო ღონისძიებანი: დაიკითხნენ დაზარალებულები, მოეწყო ამოცნობა ფოტოგრაფიებით, ჩვენ ვიყავით მომხდარის ადგილზე და განვახორციელეთ შემოწმება და საგამოძიებო ექსპერიმენტი. მიღებული მონაცემები გაანალიზდება, რის შემდეგაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება კანონმდებლობის ფარგლებში“.

ამ დროს ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, რომ ინტერესი ამ თემისადმი საქართველოში ძალიან მწვავეა:

„ჯერ ერთი, ჯერ არაფერი არაა დადასტურებული. მეორეც, ითქვა, რომ ამგვარ მოქმედებებში ეჭვი აქვთ ათი სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეებზე. მხოლოდ საქართველომ გაგზავნა იქ თავისი საგამოძიებო ჯგუფი და ყველამ ეს აღიქვა მეტად მტკივნეულად. სხვა ცხრა სახელმწიფომ, ჩემი აზრით, სულაც არ მიაქცია ამას ყურადღება. დიდი ეჭვი მაქვს იმაში, რომ იქ გაჩნდება სერიოზული პრობლემა. იმიტომ, რომ ამ რესპუბლიკაში ხშირად ხდება ასეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ადამიანი ცდილობს, ფული მოიხვეჭოს ამ სკანდალებზე“.

ირაკლი ალადაშვილის კოლეგა, სამხედრო ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე ამ თემის განხილვას მიიჩნევს არასწორად გამოკვლევის დამთავრებამდე. თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას კი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელის მოადგილის რომან ჯოხაძის სამსახურიდან გადადგომის შესახებ მიმდინარე წლის დასაწყისში მან უწოდა ნამდვილი დარტყმა საქართველოს შეიარაღებული ძალების რეპუტაციაზე.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ ბრექზიტის გამო ევროკავშირი შეამცირებს ზემოქმედებას პუტინზე

ფილიპ ჰემონდის სიტყვებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკვე პარასკევს დილით იგრძნობს ნაკლებ ზემოქმედებას ევროკავშირის მხრიდან და თავს იგრძნობს უფრო ოპტიმისტურად იმ პერსპექტივასთან დაკავშირებით, რომ ბრიუსელის გადაწყვეტილებამ შეიძლება შეასუსტოს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რუსეთში ბრექზიტი გამოაცხადა პუტინის გამარჯვებად

კარგი საღამოა რუსეთისთვის, ცუდი — ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ბრიტანეთის როლი მსოფლიოში შემცირდება, ამერიკის შეერთებული შტატები წააგებს იმის გამო, რომ ჩვენმა უახლოესმა მოკავშირემ დაკარგა პოზიციები, ევროკავშირი გახდება უფრო სუსტი, ევროპა — უფრო გათიშული“, — დაწერა მან ბრეკზიტში.

შოტლანდიამ, რომელიც შედის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში, განაცხადა, რომ სურს, იყოს ევროკავშირის ნაწილი

„შოტლანდიამ მკაფიო და გადაჭრით მისცა ხმა იმას, რომ დარჩეს ევროკავშირის ნაწილად“, — აღნიშნა შოტლანდიის ეროვნული პარტიის ლიდერმა და ქვეყნის პირველმა მინისტრმა ნიკოლა სტერჯენმა. ჩრდილოეთ ირლანდიაში ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ ბრიტანეთს ამიერიდან აღარ შეუძლია წარმოადგენდეს მათ ხალხს. ევროპაში ულტრამემარჯვენეებმა მოუწოდეს — მოაწყონ თავიანთი რეფერენდუმები.

დედამიწის ზურგზე

დიდ ბრიტანეთში შეაჯამეს რეფერენდუმის საბოლოო შედეგები - ევროკავშირიდან გამოსვლას ხმა მისცა 51,9 პროცენტმა

ხმების დათვლის დროს პრაქტიკულად უმალ წინ გაიჭრნენ ბრეკზიტების მომხრეები. ამ ფონზე მკვეთრად დაეცა გირვანქა სტერლინგის კურსი — 1,35 დოლარამდე. რაც გახდა მინიმალური დონე გირვანქის ღირებულებასთან 1985 წლიდან. ლონდონის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთი ირლანდიის მცხოვრებლებმა ხმა მისცეს ქვეყნის ევროკავშირში შენარჩუნებას. უელსმა და ინგლისმა მხარი დაუჭირეს ბრეკზიტს.

ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ მსოფლიოს ბირჟები ჩამოიშალა

გახსნისთავანე ჩამოიშალა ევროპული საფონდო სივრცეები, თუმცა, მათი დანაკარგის კომპენსირება ბრიტანეთის პრემიერის მიერ გადადგომაზე გაკეთებული განცხადების შემდეგ გარკვეულწილად მოახდინეს.

გერმანული საფონდო ბირჟები თითქმის 10%-ით დაეცა: DAX 30-ის ინდექსი 9,94%-ით ნაკლები იყო, 10:36 საათის მონაცემებით (საქართველოს დროით 12.36) ვარდნა 7,7%-მდე შემცირდა, ფრანგული საფონდო ინდექსი CAC 40 9,36%-ით დავარდა. ბრიტანეთის საფონდო ბაზარი FTSE 100 გახსნისთანავე 7,4%-ით დავარდა, 10:36 საათისათვის უკვე 6,58% აჩვენა. მკვეთრად დავარდა ფუნტის კურსი, რომელმაც, ასევე დარეგულირება დაიწყო დევიდ კემერონის გამოსვლის შემდეგ. ინგლისის ბანკი მოსახლეობას ყველა საჭირო ნაბიჯების გადადგმას დაპირდა, რათა ბრიტანეთის მონეტარული და ფინანსური სტაბილურობა იქნას შენარჩუნებული. ბანკი ფინანსური ბაზრების მხარდასაჭერად 250 მილიარდ ფუნტს გამოყოფს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა გადადგომა გადანყვიტა

„ბრიტანელმა ხალხმა მიიღო მეტად აშკარა გადაწყვეტილება — იაროს სხვა გზით, და მიმაჩნია, რომ ქვეყანას ახალი ლიდერი სჭირდება“, — განაცხადა დევიდ კემერონმა, როდესაც ლონდონში ჟურნალისტების წინაშე გამოდიოდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ მიაჩნია სწორად, „იყოს კაპიტანი, რომელსაც მიჰყავს ქვეყანა დანიშნულების ახალი პუნქტისკენ“.

...ისე, როგორც დიდ მხატვარს ეკადრებოდა

ლადო გუდიაშვილი - 120

„მე ვხედავ აღფრთოვანებულ ყრმას, რომელსაც უნდა ხელმეორედ ააშენოს დანგრეული საქართველო“ — ასე შეაფასა სერგეი გოროდეცკიმ გენიალური ქართველი მხატვრის შემოქმედება. მაშინ ის ყრმა, ლადო გუდიაშვილი იყო, ლადო, რომელიც ანგრევდა მხატვრობაში დაწესებულ ყველა „კანონს“, სცდიდა ყველა მოდურ „იზმებსა“ და ამკვიდრებდა ახალს — ლადო გუდიაშვილის სტილს, ყველასაგან განსხვავებულს, ამაღლებულსა და თავისთავადს. შემდგომ იტყვიან დიდი კრიტიკოსები — ლადო გუდიაშვილი არის მსოფლიოში აღიარებული მოდერნისტული, სპარსული მინიატიურების, ქართული განსაცვიფრებელი ფრესკებისა და უბიწო, პრიმიტივისტი ფიროსმანის ერთობლიობაო. თუნდაც ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი სტილისა და მიმდევრობის დიდოსტატი რომ ყოფილიყო, მაინც აღიარებდა მსოფლიო ხელოვნება, მაგრამ ლადო იყო ამ „ოთხეულის“ ნაზავი და დღემდე ვერავინ შებედა გათანაბრება-გათავისება მის სტილთან. მეგობრობდნენ მასთან მსოფლიო კორიფეები — მხატვრები, მუსიკოსები, კრიტიკოსები, სთხოვდნენ პარიზში დარჩენას უცნაურ და უნიჭიერეს კავკასიელს გამოჩენილი მეცენატები, მაგრამ ოცდაათს მიღწეულ ლადოს, საქართველოდან მსოფლიო ხელოვნების მექაში პარიზში დაბუდებულს, გული სამშობლოსკენ მოუწევდა და დაბრუნდა კიდეც...

ეს ყველაფერი წარსულია... დღეს დიდი მხატვრის საიუბილეო წელია და ქართველი საზოგადოება პატივს მიაგებს მის შემოქმედებას.

დღე პირველი, 17 ივნისი, წელი 2016. თბილისი.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ბატონი **ბონდო კობაძე** ფონდის საიუბილეო 50-ე ღონისძიებას ატარებს და სწორედ ესაა სასიამოვნო დამთხვევაც დიდი მხატვრის იუბილესთან ერთად. მან სახელოვანი მამულიშვილის სამუდამო განსასვენებელთან — მთაწმინდის პანთეონში უნდა შეკრიბოს ჩვენი ღირსეული თანამემამულენი, მხატვრის შემოქმედების დამფასებელნი და ფონდის მიერ დაარსებული საპატიო დიპლომებითაც უნდა დააჯილდოოს რჩეულნი.

მაგრამ თავადაც სიურპრიზი ელის — აფხაზთა და ქართველთა შერიგებისა და თანადგომის კავშირი „დიოსკურია 2005“ დამსახურებისა და მამულიშვილთა პატივგებისათვის გაწეული ღვაწლისთვის ბონდო კობაძეს **„მშვიდობის ოქროს ვარსკვლავითა“** და **„მშვიდობის დროშის“** სამკერდე ნიშნით აჯილდოებს. თავად ფონდის თავმჯდომარე კი საპატიო დიპლომს გადასცემს ლეგენდარულ ქართველ მოჭადრაკეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს. მხატვრის საფლავთან საპატიო ყარაულში ეროვნული და ევროკავშირის დროშებით დგანან პატარა ჩოხოსნები. სიტყვით გამოდიან ჩვენი ცნობილი მხატვრები და მწერლები — რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე **დავით შემოქმედელი, ვაჟა ეგრისელი, ილია პატაშური,** მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გოჩა ზეიკიძე, ელდინო საღარაძე,** მომღერლები **ენრიკო ჯანელიძე** და **ნინი ნემსაძე,** ხალხურ საკრავთა ანსამბლ **„საუნჯისა“** და **„მირანგულას“** ნორჩი შემსრულებლები, მთაწმინდის პანთეონის საიუბილეო საღამოს უძღვება საქართველოს დამსახურებული მხატვარი და მწერალი **რეზო (ემელიანე) ადამია.**

დღე მეორე, 18 ივნისი, წელი 2016. დუშეთი

არა მარტო თბილისიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ეწვივნენ დუშეთს მხატვრის თაყვანისმცემლები. რატომ დუშეთსო? — იტყვით თბილისში დაბადებულ, პარიზში განათლებამიღებულ და კვლავ თბილისში დაბრუნებულ მხატვარზე. მაგრამ ლადო გუდიაშვილის ფესვები ხომ ამ მადლიანი კუთხიდან მოდის — მამა დავით გუდიაშვილი დუშელი გახლდათ, დედა — ქალბატონი ელისაბედი კი ფასანაურელი. შეუღლებულნი დუშეთში ცხოვრობდნენ და თბილისში გადმოსვლისას ქვეყანას დიდი მხატვარიც მოევლინა. სწორედ ეს ეამაყებათ დუშელებსა და მათ თავკაცს, ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **ვაჟა ჩოხელს.** საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა ქალაქში. არც დედაქალაქელები ჩასულან ხელცარიელნი მხატვრის სამშობლოში — ათობით ქართულმა სამედიცინო კომპანიამ და ასოციაციებმა საქველმოქმედო ჰუმანიტარული ტვირთი ჩაიტანეს დუშელებისთვის, მედიცინის მუშაკებმა, ცნობილმა პროფესორებმა და მათმა კოლეგებმა უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს ადგილობრივებს, სპეციალურად საიუბილეო დღეებისთვის შპს **„დუგლაძეების ღვინის“** კომპანიამ ათასამდე წითელი **„მუკუზანი“** და თეთრი **„წინანდალი“** ჩამოასხა დიდი მხატვრის პორტრეტით დამშვენებული. ქალბატონმა ნონამ კი ერთდროულ სეანსში გამოიწვია ჭადრაკის მოყვარულები. ბატონმა რეზო ადამიამ, რომელიც შესანიშნავად გაუძღვა „თბილისურ იუბილეს“, წამყვანის საპატიო მოვალეობა საქართველოს სახალხო არტისტს **დიმა ჯაიანს** დაუთმო. ცნობილი მოცეკვავე **თენგიზ ურთმელიძე, ელდინო საღარაძე,** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური ვერცხლის პრიზიორი **გურამ საღარაძე** მოგონებებით გამოვიდნენ და საინტერესო საღამო აჩუქეს ადგილობრივებს. დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ლადო გუდიაშვილის პორტრეტი გადასცა საჩუქრად საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა **გია მარკოზაშვილმა.** სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ვაჟა-ფშაველას ძეგლი, მოინახულეს დუშეთის, ბაზალეთის, ანანურის ღირსშესანიშნავი ადგილები, საღამოზე გამოვიდნენ ადგილობრივი თვითშემოქმედების კოლექტივები, თბილისელი სტუმრები. ეს ორი დაუვიწყარი დღე ისეთივე ლამაზი და მშვენიერი გახლდათ, როგორც დიდი მხატვრის შემოქმედება.

ავთანდილ ბექაური.

სურათებზე: ლადო გუდიაშვილის საიუბილეო დღეები თბილისსა და დუშეთში.

„ოქროს ტალღა 2015“ სიმღერა „ნამის ველს“ გახდა

წლის სიმღერა რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ მუსიკალურ პროექტში „ოქროს ტალღა 2015“ სიმღერა „ნამის ველს“ გახდა ნიაზ დიასამიძის და „33 ა“-ს შესრულებით (კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი ნიაზ დიასამიძე). დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც კლუბ „ოტიუმში“ გაიმართა, კიდევ 16 ნომინაციაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

წლის მომღერალი ქალის ტიტული **ნინი ბადურაშვილმა** მიიღო სიმღერით „ელენეს“ (კომპოზიტორები: ნინი ბადურაშვილი და ეკა კახიანი, ტექსტი ირინა სანიკიძის), წლის მომღერალი მამაკაცი გახდა **ოთო ნემსაძე** სიმღერით „ბულბულის სტვენა“ (კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი ოთარ რამიშვილი), წლის დუეტის ნომინაციაში საუკეთესოდ ანსამბლი **„შვიდკაცა“** და **დათო გომართელი** დასახელდნენ („პოპური“, სიმღერა და ტექსტი ხალხური), წლის ჯგუფად „33 ა“ („ნამი ველს“, კომპოზიტორი და ტექსტი ნიაზ დიასამიძის), წლის ანსამბლად **„ქართული ხმების“** კვარტეტი სიმღერით „დავდივარ და დაგეძებ“ (კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი ნანა მესხი), წლის პოპ-სიმღერად „ქაღალდის ნავი“ **რატი დურგლიშვილის** შესრულებით (კომპოზიტორი რატი დურგლიშვილი, ტექსტი მანანა სიამაშვილის), წლის ქალაქურ სიმღერად დასახელდა ოთარ რამიშვილის სიმღერა „თბილისი“ **გიო ხუციშვილის** შესრულებით, წლის დებიუტის ნომინაციაში გაიმარჯვა ჯგუფ **„სტუმრების“** მიერ შესრულებულმა სიმღერამ „ურმული“ (კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე). რაც შეეხება რადიოსადგურების რჩეულებს, რადიო „ფორტუნას“ რჩეული გახდა **ლელა წურწუმია** სიმღერით „თურმე სიყვარულს არა აქვს დრო“ (კომპოზიტორი დათო არჩვაძე, ტექსტი ირინა სანიკიძის), რადიო „ფორტუნა პლიუსის“ — „მასტერი“, სიმღერით „პრეზიდენტი — მასტერი და აბი“ (კომპოზიტორი და ტექსტი მასტერის), „ავტორადიოს“ რჩეული გახდა **დათო ხუჯაძე & Goofy Land** — „ჩემო გოგო“ (სიმღერა და ტექსტი: ხალხური, ინტერპრეტაცია დათო ხუჯაძის), რადიო „არ დაიდარდოს“ რჩეული კი გახდა **„შვიდკაცა“** სიმღერით „მხოლოდ ერთხელ“ (კომპოზიტორი რუსუდან სებისკვერაძე, ტექსტი არჩილ სულაკაურის). საკუთარი რჩეული გამოავლინა ტელეკომპანია „მიუზიკბოქსმა“, რომელმაც ეს ჯილდო გადასცა სიმღერას „ქაღალდის ნავი“ რატი დურგლიშვილის შესრულებით. ინტერნეტ-გამოკითხვით გამოვლინდა ხალხის რჩეული, რომელიც **სოსო მიქელაძეს** გადაეცა სიმღერისთვის „მე და შენ“ (კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი სოსო მიქელაძე).

რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“ მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა **მერაბ სეფაშვილი,** ჯილდო ქართული სიმღერის პოპულარიზაციისთვის ქვეყნის გარეთ გადაეცა **თამარ გვერდწითელსა** და **ბუბა კიკაბიძეს.**

ყველა ნომინაციაში გამარჯვებულებს გადაეცათ მოქანდაკე ირაკლი წულაძის მიერ დამზადებული „ოქროს ტალღის“ ქანდაკება, წლის სიმღერის ნომინაციაში გამარჯვებულს კი რადიოჰოლდინგმა პრიზთან ერთად ფულადი ჯილდო 5000 ლარი გადასცა.

ხალხის რჩეული ინტერნეტ-გამოკითხვით დასახელდა, რადიოსადგურებმა კი საკუთარი რჩეულები დაასახელეს.

◎ წინ, საქართველო!

ახლოა ელიტის ელიტამდე

ისტორიული – ასე შეიძლება შეფასდეს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ოკეანეთში განხორციელებული ტურნეს შედეგები.

შეგახსენებთ, რომ სასტარტო მატჩი „ბორჯღალოსნებმა“ ფრედ – 19:19 დაასრულეს სამოასთან, ხოლო შემდეგ ტონგასა და ფიჯის, შესაბამისად, 23:20 და 14:3 სძლიეს (პირველი ნახევარი – 3:3).

უკანასკნელ შეხვედრაში პარტნიორები მეორე ტაიმის დასაწყისში ლაშა ხმალაძემ დააწინაურა, ხოლო დანარჩენი ქულები მერაბ კვირიკაშვილის ანგარიშზეა (სულ მისი პირადი სანაკრებო მონაგარი 743 ქულამდე გაიზარდა). აღსანიშნავია, რომ მილტონ ჰეიგის გუნდს 4 ქულა დააკლდა, პირველად არსებობის განმავლობაში საერთაშორისო რეიტინგის მეათე საფეხურამდე რომ აღზევებულიყო (დასანანად იმავე კვირიკაშვილის მიერ გაცუდებული ორი საჯარიმო გვეყოფა), მაგრამ არც ეს დღეა შორს.

ამის თქმის საფუძველს ის ავტორიტეტი გვაძლევს, რომელიც ქართულმა რაგბიმ მსოფლიოში მოიხვეჭა, დასტურად კი თბილისისთვის რაგბი ევროპის 96-ე გენერალური ასამბლეის მასპინძლობის პატივის მონიჭება გამოდგება.

„განსაკუთრებულია ის წვლილი, რომელიც „ქართუ ბანკმა“ ჩვენი სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეიტანა. 16 ახალი სტადიონი და 85-მილიონიანი ინვესტიცია ყველაფერზე მეტყველებს“ – განაცხადა გუშინდელ ფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

ჭეშმარიტად!

96th RUGBY EUROPE GENERAL ASSEMBLY

კობა კობახიძე

◎ თარიღი

ადამიანი – სიკეთე

ასეთები კიდევ შემორჩენილა? – კითხულობენ გაკვირვებით, როცა ჯეამალ ჭიპაშვილს გაიცნობენ.

კიდევ კარგი, რომ შემორჩენენ, თორემ ქვეყნიერებას უკეთურება წალეკავდა.

გულზე განხორციელებული პროფილაქტიკური სამუშაოების მიუხედავად, ეს ბუნჩულა, ერთი შეხედვით დიდი ბავშვი ისევ საყვარელ ფეხბურთში ტრიალებს და ჩვეული წარმატებით განაგრძობს ოჯახისა და საძმოს ბურჯობას.

მერე რა, რომ თვალსა და ხელს შუა გაფრენილა წლები და 65 შესრულებია – აბა, შეედაროს ვინმე ცხოვრებისეულ სიამეებში.

დღეგრძელობა და მონაგარში გახარება გვისურვებია, ნაღდო კაცო!

გია პლატონიშვილი

◎ პერსპექტივა

მე-5 ლიცენზიის საკითხი თბილისში გადაწყდება

რიო-დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 43 დღით ადრე საქართველოს ანგარიშზე 38 ლიცენზიაა. ამხელა სპორტული დელეგაციით ქართველები არც ერთ ოლიმპიადაზე არ გამოსულან. განაცხადს საბოლოო სახე ჯერ არ მიუღია და შესაძლოა ისედაც სარეკორდო მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

დღეს თბილისი მსოფლიოს ძალოსნობის ფედერაციის კონგრესს უმასპინძლებს და სწორედ მასზე გადაწყდება, როგორ ჩასწორდება ამა თუ იმ ქვეყნის ძალოსნების მიერ მოპოვებული სალიცენზიო ქულები.

თუ ბოლო დღეებში გავრცელებული ხმები ოფიციალურად დადასტურდა და მსოფლიო ძალოსნობის ხელმძღვანელებმა დოპინგ-სკანდალებში გახვეულ რამდენიმე ქვეყნის ნაკრებს ლიცენზიები მართლა ჩამოართვეს, რიო-დე-ჟანეიროს ფიცარნაგზე საქართველოს სახელით სავარაუდოდ 5 ძალოსანი გავა.



გიორგი ასანიძის გაწვრთნილი გუნდის ანგარიშზე ამჟამად ოთხი ლიცენზიაა, აქედან სამი ვაჟებში და ერთიც – ქალებში. საუკეთესო შემთხვევაში ქართულ გუნდს კიდევ ერთი ლიცენზიატი ვაჟი შეემატება.

რუსული სპორტული გამოცემების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო ფედერაცია მათი ქვეყნის გარდა, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, კორეის სახალხო – დემოკრატიული რესპუბლიკისა და მოლდოვის ნაკრებებსაც ჩამოართმევს 2-2 ლიცენზიას, ხოლო ბელარუსს, რუმინეთსა და უზბეკეთს – თითოს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

ლეგენდა, ნაადრევად დასრულებული

ჩვენი ნაცნობობა 1978 წლიდან დაიწყო: ერთ დღეს ახალგაზრდა მოფარიკავეთა საკავშირო პირველობას დავესწარი. დარბაზში სრული „საბრძოლო“ სიტუაცია სუფევდა – იარაღის ჟღარუნი და ხმამაღალი შეძახილები ისმოდა. ჩემი ყურადღება ტანმორჩილმა მუშკეტერმა მიიპყრო, რომლის ელვისებურ შეტევებს კონკურენტები ვერ უმკლავდებოდნენ. ისიც დამამახსოვრდა, ერთი მეტოქე ნახევარფინალში სიცილ-ხარხარით რომ დაამარცხა. მწვრთნელებმა უსაყვედურეს - ჯერ ფინალი მოიგე და მერე იხალისეო. „ბავშვობიდან ასეთია, – მითხრა მაშინ ცნობილმა მწვრთნელმა ლუდვიგ ღაღანიძემ. – მოქნილი, სწრაფი, მოუსვენარი, მაგრამ გულიანი ბიჭია, შრომისმოყვარე, უშიშარი. ერთხელ ვარჯიშისას ბაგირზე ფეხების დაუხმარებლად აცოცდა, კაუჭიდან თოკი მოხსნა და ცალი ხელით თავად ჩამოეკიდა. მწვრთნელები გაოცებისგან ხმას ვერ ვიღებდით, მან კი სიცილით ჩამოგვძახა – ნუ გეშინიათ, არაფერი მომივაო“.



საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, **ვლადიმერ აფციაურმა** ფინალური შეხვედრა რომ მოუგო ბელარუს მეტოქეს და ჩემპიონობა მოიპოვა.

არადა, ფარიკაობაში შემთხვევით მოხვდა. 1973 წელს ძმასთან ერთად ჩამოიყვანეს მშობლებმა თბილისში – სხარტი ბიჭები არიან და იქნებ ტანვარჯიშში ივარგონო. რადგან ჯგუფში ადგილები შევსებული იყო, დროებით ფარიკაობაში მეცადინეობა შესთავაზეს. მოეწონა, დარჩა და დარჩა.

მართალია, ახალგაზრდებში საკავშირო შეჯიბრებები არაერთხელ მოუგია, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად ვლადიმერ აფციაურისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1981 წლის კიევის საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც სახელოვანი მუშკეტერები გამოდიოდნენ. 20 წლის ქართველმა ჭაბუკმა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე ჯერ იური ლიკოვს აჯობა, მერე მსოფლიოს საუკეთესო რაპირისტი ალექსანდრე რომანკოვი ჩამოიშორა გზიდან. მაშინდელმა „სოვეტსკი სპორტმა“ მაღალი შეფასება მისცა ჩვენებურს: „საშუალო ტანის მოფარიკავეს ჭეშმარიტად კავკასიური ტემპერამენტი აქვს, ძალიან სწრაფია, შესანიშნავად გრძნობს დისტანციას“. ფინალური ორთაბრძოლა მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებულ და მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმერ სმირნოვთან დათმო. მართალია, ვერცხლის მედალს დასჯერდა, მაგრამ საკავშირო ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გაეხსნა გზა.

პლანეტის უძლიერეს რაპირისტებს რომმა უმასპინძლა. გუნდური პირველობის მეოთხედფინალში გერმანელებთან შეხვედრისას ტრაგედია დატრიალდა: სმირნოვს ალემანი მათიას ბერის გატეხილი რაპირა თვალში შეერჭო და იქვე დაკარგა გონი. ორიოდე დღის შემდეგ ისე გარდაიცვალა, ცნობიერება არ დაბრუნებია. გერმანელებთან მატჩის მეორე დღისთვის გადადება უნდოდათ, მაგრამ აფციაურმა დაიჟინა, დღესვე ვიბრძოლოთო. დებიუტანტის სიტყვამ გაჭრა. საბჭოთა გუნდმა ის შეხვედრა მოიგო, მერე იტალიელებსაც სძლია და ფინალში გავიდა.

მოფარიკავეთაგან არაერთხელ მსმენია, რომ გუნდური დაპირისპირებებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველი პაექრობის მოგებას ნაკრებში ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. მწვრთნელებმა, იცოდნენ რა აფციაურის უდრეკი ნებისყოფის, ჟინისა და თავდადების ამბავი, ფინალში ფრანგებთან პირველი ორთაბრძოლები სწორედ მას ანდეს. ქართველმა ჭაბუკმაც გაამართლა იმედები: ზედიზედ დაამარცხა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონები – პასკალ ჟოლიო, დიდიე ფლამანი და ფრედერიკ პიეტრუჩკა. სამწუხაროდ, თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი და საბჭოთა ნაკრები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა – 7:8-ს აგებდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ისევ დებიუტანტმა იტვირთა. ვლადიმერ აფციაურმა ამჯერადაც იყოჩაღა – ფილიპ ომნესს (მან ბარსელონის ოლიმპიადაზე დაიკავა პირველი ადგილი) 5:4 მოუგო და გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა.

ამ ტიტულის გარდა, სპორტის დამსახურებული ოსტატის საოჯახო კოლექციას ამშვენებს მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი, ევროპის თასი, 1984 წლის საერთაშორისო სპორტული თამაშების ოქროები პირად და გუნდურ პირველობებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. მისი, როგორც მწვრთნელის ხელმძღვანელობით ქუვეითის ნაკრებმა ხუთჯერ არაბული ქვეყნების პირველობა მოიგო, და კიდევ სხვა მრავალი ჯილდო.

და მაინც, სახელოვანი ქართველი მოფარიკავის წარმატებათა გვირგვინს 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონობა წარმოადგენს. სეულშიც ბრძოლის წინა ხაზზე პირველს ისევ აფციაურს უშვებდნენ. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრები უნგრელებს დაუპირისპირდა. კარგა ხნის განმავლობაში მადიარებს მსოფლიოში ფარიკაობის მოდის კანონმდებლებად მიიჩნევდნენ და ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები ძრწოდნენ მათ წინაშე, აფციაურს კი ავტორიტეტების შიში არასდროს ჰქონია. სამხრეთ კორეის დედაქალაქშიც შეუპოვრად ეკვეთა უნგრელთა ლიდერებს: სელეის 5:1 მოუგო, სეკელეში კი სულაც მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხა. თუმცა, ამ მატჩშიც შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია – უნგრელები 8:6 დაწინაურდნენ. ფინალში გასვლის ბედი აფციაურისა და ანვარ იბრაგიმოვის შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა, თანაც ისე, რომ ექვს ჩხვლეტაზე მეტი არ უნდა მიეღოთ. ორივე სპორტსმენმა წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემა და გამარჯვების ქულები მოუტანეს საბჭოთა ნაკრებს, რომელმაც ფინალში გერმანიას აჯობა 9:5 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აქაც ოქროსკენ თანაგუნდელებს გზა ხალასი ნიჭით დაჯილდოებულმა ქართველმა მუშკეტერმა გაუკაფა, რომლისთვისაც ნებისყოფის სიმტკიცე, სიმკვირცხლე და რეაქცია თანდაყოლილი თვისებები იყო, თანაგუნდელთა თანადგომა კი უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. მისი სტიქია სისწრაფე იყო, ელვისებური იერიშები. სამწუხაროდ, ცხოვრებაშიც იჩქარა და... 50 წლისა ნაადრევად განშორდა საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, ქომაგებს და საუკუნო სასუფეველში გადაინაცვლა.

ვაჟა დანელია

◎ საეჭვო კავშირები

„კანონიერი ქურდებისა“ და ნაციონალების არაოფიციალური ურთიერთობა

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სპეციალურად არის გამოსაძიებელი, თუ როგორ მოხდა ე.წ. „კანონიერი ქურდის“ საქართველოში შემოსვლა, მათ შორის საიდან და როგორ, ვინ შეუწყო ხელი?.. პრემიერის თქმით, ყოველივე ეს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და ყველა ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. ე.წ. „კანონიერი ქურდის“ დავით გერლიანის, იგივე „სვანას“ დაკავებისა და დეპორტაციის შესახებ ინფორმაცია ნაციონალური მოძრაობის წევრმა გივი თარგამაძემ გაავრცელა.

გივი თარგამაძის განცხადებით, გერლიანი, რამდენიმე დღის წინათ ოდესაში დაიკავეს ყალბი პასპორტით და ქართულ მხარეს გადასცეს. მისი განცხადებით, საქართველოში დაირღვა დეპორტირებული პირის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესები, რადგან აეროპორტში ის არ დაუკავებიათ და არ გამოუკითხავთ. შესაბამისად, თარგამაძე ხელისუფლებას კრიმინალური ავტორიტეტების მფარველობაში ადანაშაულებს.

თვითონ გერლიანი, რომელიც უკვე დაკავებულია, უკრაინიდან მის საქართველოში გამოგზავნას ნაციონალური მოძრაობის და მიხეილ სააკაშვილის მიერ დადგმულ სცენარს უწოდებს. გერლიანი 2006 წელს ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დაიკავეს, 2013 წელს გათავისუფლდა პატიმრობიდან, რის შემდეგაც საქართველო დატოვა და საცხოვრებლად უკრაინაში გაემგზავრა. მას აქვს უკრაინის მოქალაქეობა.

როგორც გერლიანმა ადვოკატთან საუბრისას აღნიშნა, უკრაინაში ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც პოლიცია შევარდა და ყველანი დააკავა. ამ დაკავების ოპერაციას ქართველი ჩინოვნიკი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით გერლიანის გარდა, ყველანი გაათავისუფლეს, ის დააკავეს და უთხრეს, რომ ყალბი პასპორტი ჰქონდა. ჩასვეს თვითმფრინავში და გამოუშვეს საქართველოში. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფი დახვდა. როგორც ირკვევა, გერლიანი დეპორტირებული არ არის, რადგან დეპორტაციისთვის უკრაინულ მხარეს საჭირო პროცედურები არ ჩაუტარებია.

დაკავებულის ადვოკატის თამარ აბესაძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, რომ მისი დაკავებისა და საქართველოში გამომგზავრების სცენარი მიხეილ სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ „რუსთავი 2“-ის დახმარებით დადგა, იმ მოტივით, თითქოს საქართველოში „კანონიერი ქურდები“ ბრუნდებიან.

„გერლიანმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი მსგავსი სცენარის გამეორებას სხვა ადამიანებთან მიმართებაშიც გეგმავენ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უარყოფს, რომ „კანონიერი ქურდია“, თუმცა, ამ მუხლით ბრალს მაინც წაუყენებენ“, — აცხადებს თამარ აბესაძე.

დავით გერლიანის გარშემო განვითარებულ პროცესებს „ოდესელების პროვოკაციად“ აფასებს შს მინისტრი. გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, თავიდანვე ჩანდა, რომ ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია. მინისტრის განცხადებით, დეპორტი იყო თუ გამოძევება, ნებისმიერ შემთხვევაში უკრაინული მხარე ვალდებული იყო ეს ფაქტი ეცნობებინა ქართული მხარისთვის.

გერლიანის შემთხვევაში, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ წარმოებდა, შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა აღრიცხვაზე დაყენებული გამშვებ პუნქტზე. ამასთან, ის შემოვიდა სხვა გვარით“, — განაცხადა შს მინისტრმა.

მღებრიშვილი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გერლიანის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა ერთ ტელეკომპანიას, ხოლო უკრაინულ მხარეს ოფიციალური უწყებებისთვის არანაირი ინფორმაცია არ მოუწოდებია.

გიორგი მღებრიშვილის უწყება იმ „კანონიერი ქურდების“ სიას გაასაჯაროვებს, რომლებმაც 2006-2012 წლებში საქართველოს საზღვარი უპრობლემოდ გადმოკვეთეს და გადაკვეთეს. მათ მიმართ არანაირი ზომები არ გამოუყენებიათ, არავინ დაუკავებიათ და პირიქით, თავისუფლად გადაადგილდებოდნენ.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრის მამუკა მდინარაძის განცხადებით, თუ მართლაც გულწრფელები არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები, საინტერესოა, რატომ არ ინტერესდებოდნენ თავის დროზე იმით, რომ წლების განმავლობაში ე.წ. კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

„იყო რაღაც დაჯგუფება, რომელიც მისაღები იყო ნაციონალური მოძრაობისთვის, ხოლო, რომელიც არ იყო მათთვის მისაღები, იჭერდნენ. კეთილი ინებონ და გასცენ ამ კითხვას პასუხი, რატომ ხდებოდა ასე, რატომ იყო შერჩევითი სამართალი კრიმინალური ავტორიტეტების მიმართ მათი მმართველობის დროს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კრიმინალური ავტორიტეტის მიმართ რაიმე სახის შეწყალება, რომლის მსგავსიც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, არ მომხდარა. სწორედ, ეს ვერ აიტანეს მათ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ 2006-2012 წლებში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ე.წ. კანონიერი ქურდები თუ კრიმინალური ავტორიტეტები საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლად შემოდიოდნენ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა კანონი, მათ არ დააკავებდნენ. 2-3 დღის შემდეგ ატოვებინებდნენ ქვეყანას. შესაბამისად, ამ ბატონებმა უნდა ნახონ, რა ხდებოდა მათთი მმართველობის დროს და ამის მერე ნახონ რა მიდგომა აქვს ამ მიმართულებით ახალ ხელისუფლებას“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას მამუკა მდინარაძე.

მისივე თქმით, საეჭვოა ის გარემოებაც, რომ ერთი ქვეყნის უწყება მეორე ქვეყნის უწყებას არ აცნობებს ასეთი ადამიანის გამოძევების შესახებ, არ ხდება მისი დეპორტაცია, რაც შესაბამის დოკუმენტებში უნდა ასახულიყო.

„ამის შესახებ ინფორმაცია აქვს ნაციონალური მოძრაობის წევრს. შემოვიდა ეს ადამიანი საქართველოში და აეროპორტში დახვდა „რუსთავი-2“-ის კამერა. დააფიქსირეს მისი შემოსვლა და ატყდა აჟიოტაჟი. ის, რაც გააკეთა ნაციონალურმა მოძრაობამ, იყო დადგმული სპექტაკლი, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან შსს-ში მუშაობენ პროფესიონალი და კვალიფიციური კადრები, რომლებმაც საზღვრის კვეთის დროს დააკავეს გერლიანი“, — ამბობს მამუკა მდინარაძე.

ნაციონალური მოძრაობისა და ე.წ. კანონიერი ქურდების ურთიერკავშირებზე ინფორმაცია არახალია. საკმარისია გავიხსენოთ გივი თარგამაძისა და ვინმე კონსტანტინეს სატელეფონო საუბარი, რომლითაც დასტურდება, რომ თარგამაძე აქტიურად არის ჩართული შავ სამყაროსთან ურთიერთობასა და ქურდულ გარჩევებში.

ვინმე კონსტანტინესთან სატელეფონო საუბრით აშკარად ირკვევა, რომ გივი თარგამაძეს ჰქონდა ხანგრძლივი ურთიერთობა ვინმე ლაშასთან და გიასთან. მათი მეშვეობით იგი დონეცკის ოლქსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სიატუაციას აგვარებდა. მაშინ ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ „კანონიერი ქურდი“ ვინმე „ხმელო“ უკრაინაში გივი თარგამაძის ბიზნესპარტნიორია.

ყოველივე ეს საკმარისი ფაქტობრივი მტკიცებულება იყო, რომ მის წინააღმდეგ მთავარ პროკურატურას კანონით გათვალისწინებული ზომები მიეღო და დაეწყო გამოძიება დეპუტატ გივი თარგამაძის წინააღმდეგ, მაგრამ ზურაბ ადეიშვილის უწყებისთვის თარგამაძისა და „კანონიერი ქურდების“ ურთიერთობა საინტერესო არ იყო.

რაც შეეხება ქართველი პარლამენტარის მიერ ერთ-ერთ ჩანაწერში ნახსენებ გიას და ლაშას, ისინი უკრაინაში მყოფი „კანონიერი ქურდები“ — გია ხმელიძე და ლაშა შუშანაშვილი არიან. რაც შეეხება ვინმე კონსტანტინეს, ვისთანაც სატელეფონო საუბარი ჰქონდა თარგამაძეს, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში ქართველი დამკვირვებლების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოგვარებაზე ესაუბრებოდა. ის კრიმინალური ავტორიტეტის ვატო ყიფიანის ძმა კოტე ყიფიანია. თავად ვატო ყიფიანი სააკაშვილის ხელისუფლებამ ე. წ. უდოს წესით გაათავისუფლა.

სააკაშვილის ხელისუფლების და კანონიერი ქურდების ურთიერთობის კიდევ ერთი საინტერესო დეტალია 2005 წლის 8 დეკემბერს დავით ქურასბედიანის (იგივე „წრიპას“) გასეირნება ე.წ. ჭრელ აბანოში. „წრიპა“ აბანოდან ციხეში დააბრუნეს, სასჯელიც დაუმატეს, თუმცა საპატიმრო 2010 წელს დატოვა.

თამთა ძარჩავა

◎ გემოვნების ანბანი

ყავას ხომ არ ინებებთ?

უამრავი ხალხი დილას ფინჯან არომატული ყავით იწყებს, თუმცა ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა — ეს ჩვევა ორგანიზმისთვის რამდენად უსაფრთხოა?

მომხრეთა არგუმენტები:

● **ყავა შრომისუნარიანობას ამაღლებს.** კოფეინი ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას და აუმჯობესებს ტვინის მუშაობას. დღეში ერთიორი ფინჯანი ყავა ასევე კარგია კონცენტრაციისთვის და სამუშაო გუნებაზე განსაწყობად;

● **მას რბილი შარდმდენი ეფექტი აქვს.** ეს შესაძლოა, მათთვის იყოს სარგებლის მომტანი, ვისაც ხშირად აქვთ შეშუპებები, ასევე ქალებისთვის მენსტრუაციის წინა პერიოდში.

● **აუმჯობესებს გუნება-განწყობას.** დღეში ერთი ფინჯანი ყავა სისხლში ენდორფინების დონეს ამაღლებს — ეს ის ნივთიერებებია, რომლებიც სიხარულის გრძნობას აღგვიძრავენ.

● **კბილებს კარიესისგან იცავს.** იმის მიუხედავად, რომ ყავა კბილების მინანქარს ყვითლად ღებავს, იგი ხელს უშლის სტაფილოკოკებს მის ზედაპირზე დაბუდებაში. ასე რომ, ყავა კი მიირთვით, მაგრამ კბილის მინანქრის სტომატოლოგთან გაწმენდასაც ნუ დაივიწყებთ!

მოწინააღმდეგეთა არგუმენტები

● **სახიფათოა გულით დაავადებულთათვის.** კოფეინი გულისცემას აჩქარებს, არტერიულ წნევას ზრდის. ამიტომაც ჰიპერტონიით დაავადებულები მას არ უნდა მიეძალონ.

● **ძვლების მსხვრევადობას ზრდის.** ყავა ორგანიზმს ხელს უშლის კალციუმის შეთვისებაში. ამიტომაც დანაკარგის ასანაზღაურებლად, უმჯობესია, მას ცოტა-ოდენი რძე დაუმატოთ.

● **ხელს უშლის ზოგიერთი ვიტამინის შეთვისებას.** უზმოზე დალეული ყავა ზრდის კუჭის წვენის მჟავიანობას და ამით აფერხებს ვიტამინების შეწოვას, ამიტომაც, უმჯობესია, ყავა საუზმის შემდეგ მიირთვათ.

ბოლოთქმის მაგიერ. ყავის ტრფიალები იქნებ მისი დამზადების ერთობ უჩვეულო ხერხმა დააინტერესოს. ესაა ცივი ყავა ბანანით: ბლენდერში აურიეთ ნახევარი ახლად მოხარშული, ოღონდ უკვე გაცივებული ფინჯანი ყავა, ერთი ფინჯანი უცხიმო რძე, ორი ჩაის კოვზი შოკოლადის სიროფი და ერთი მწიფე ბანანი. გაყინული ბოკალები სანახევროდ შეავსეთ დამსხვრეული ყინულით და ყავიან-ბანანიანი ნარევით შეავსეთ, ზემოდან კი შოკოლადის ფხვნილი მოაყარეთ.

ინფორმაცია თემაში

ყავის სახეობები:

ესპრესო — ესაა ძალიან მაგარი შავი ყავა, მას სქელკედლიან ფინჯნებში ასხამენ, რომლებიც სასმელს დიდი ხნის მანძილზე ცხლად ინახავენ. ესპრესოს სტანდარტული ულუფაა 30 მილილიტრი. ზოგჯერ მას ცოტაოდენ ათქვეფილ ნაღებს უმატებენ, რის შემდეგ ის მაკიატოდ იქცევა.

კაპუჩინო.

ფინჯანის ძირში ყავაა, ზემოდან — ათქვეფილი რძე, შემდეგ — რძიანყავიანი ქაფი, რომელმაც ამ სასმელს სახელწოდება მისცა. იტალიურად „კაპუჩინო“ „ბერ კაპუცინს“ ნიშნავს, ისინი მახვილწვეტიან კაპიუშონებს ატარებენ, რომელიც ფინჯან ყავაზე მოდგმულ ქაფს წააგავს.

ლატე. კაპუჩინოსგან რძის მეტი ოდენობით განსხვავდება. ლატეს ხშირად მაღალ გამჭვირვალე ბოკალებში ასხამენ ყავისა და რძის მონაცვლეობით.

ამერიკანო. ესაა სუსტი შავი ყავა, არსებითად კი წყლით გაზავებული ესპრესო. მისი სტანდარტული ულუფაა 150 მილილიტრი.

გლიასე. ესაა ნაყინიანი ყავა.

მოკო. ყავა შოკოლადით.

რომანო. ყავა ლიმონით.

ყავა ვენურად. მას ბლომად ათქვეფილ ნაღებსა და შაქრის პუდრს აყრიან.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი კიდევ ერთხელ იხსენებს ჩვენი მეგობრების და კოლეგების, პროფესორ თეიმურაზ გვარჯალაძისა და ქალბატონ ლია ვაშაკიძის ვაჟს

ლევან გვარჯალაძეს

რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა 2015 წლის 28 ივნისს.

* * *

ვიხსენებთ ჩვენს ერთგულ, გულითად, გაჭირვებაში სანატრელ ადამიანსა და მეგობარს ლევან გვარჯალაძეს, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში 2015 წლის 28 ივნისს 32 წლის ასაკში. იგი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში მეგობრობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ.

მეგობრების ჯგუფი.

ბოლივუდის ვარსკვლავმა სილიკონები ამოიცალა და მონასტერში წავიდა

ბოლივუდისა და შოუ-ბიზნესის ცნობილმა ვარსკვლავმა სოფია ჰაიატმა მკერდის იმპლანტები ამოიცალა და მონაზვნად აღიკვეცა.

„აი, ის, რაც ჩემი სხეულიდან ამოვიღე. ეს მკერდის იმპლანტები ჩემთვის ღმერთს არ უბოძებია, ესე იგი სილიკონს ჩემს სხეულში ადგილი არა აქვს. ადრე ეკრანზე ნატურალური არ ვიყავი, ახლა შემომხედეთ, ბუნებრივი ასეთი ვარ. ჩემს თაყვანისმცემლებს ყველაფრისთვის ბოდიშს ვთხოვ, – განაცხადა ყოფილმა მსახიობმა.

ჰაიატმა მონასტერში ახალი სახელი დაირქვა, – დედა გაია სოფია. ცნობილია, რომ ყოფილი მსახიობი დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა, ხოლო წარმოშობით ინდოელია. ჰაიატმა სამსახიობო და მუსიკალური განათლება მიიღო. მან რამდენიმე სრულმეტრაჟიან ინდურ და ინგლისურ ფილმებში ითამაშა, ასევე სატელევიზიო სერიალებსა და შოუებში მიიღო მონაწილეობა.

თაყვანისმცემლები ჰაიატის გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი დარჩნენ. ზოგი მათგანი ვარაუდობს, რომ ყოფილი ვარსკვლავი უბრალოდ ყურადღების მიქცევას ცდილობს.

ABBA-ს წევრებმა 50 წლის იუბილე ერთად აღნიშნეს

ლეგენდარული შვედური ჯგუფის ABBA-ს წევრებმა თაყვანისმცემლები გაახარეს და 1982 წლის შემდეგ ერთად პირველად იმღერეს.

„ევროვიზიის“ ოფიციალური საიტი გვაცნობებს, რომ კონცერტი, რომელიც სტოკჰოლმში კერძო წვეულებაზე ჩატარდა, ბიორნ ულვეუსისა და ბენი ანდერსენის მეგობრობის 50-ე წლისთავს მიეძღვნა. ABBA-ს ისტორიაც ზუსტად იმ დროიდან დაიწყო.

სკანდინავური ოთხეულის ფოტოსურათები ედვარდ აფ სილენმა, 2013-სა და 2016 წლის „ევროვიზიის“ სცენარის ავტორმა, Insagram-გვერდზე გამოაქვეყნა.

წვეულებაზე ABBA-მ ერთადერთი სიმღერა – The Way Old Friends Do (You and I...) შეასრულა, მაგრამ მისი ამსახველი ვიდეომასალა სოციალურ ქსელებში არ განუთავსებიათ. ჯგუფმა სიმღერა The Way Old Friends Do 1979 წლის მსოფლიო ტურის დროს შეასრულა და სტუდიაში არასდროს ჩაუწერია. კომპოზიციის ცოცხალი შესრულება 1980 წლის ალბომ Super Trouper-ში შევიდა.

აღსანიშნავია, რომ ადრე ABBA-მ გაერთიანებაზე კატეგორიული უარი განაცხადა იმის მიუხედავად, რომ მის წევრებს არნახულ ჰონორარს – 1 მილიარდ დოლარს სთავაზობდნენ.

ვიეტნამელმა ქალმა ტყუპები ორი სხვადასხვა კაცისგან გააჩინა

ვიეტნამის ერთ-ერთ მშვიდ ოჯახში ტყუპები გაჩნდნენ, მაგრამ 2 წლის შემდეგ ოჯახური ბედნიერება უცებ გაქარწყლდა, როცა მამამ ბავშვებს შორის დიდი სხვაობა აღმოაჩინა.

კაცმა დაუყოვნებლივ სამედიცინო ცენტრს მიმართა, სადაც დნმ-ის ანალიზის ჩატარების შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი ბავშვის მამა სულ სხვა კაცი იყო.

ვიეტნამის გენეტიკური ასოციაციის პრეზიდენტი ლედ ინ ლონგი აცხადებს, რომ ოჯახი ასეთ შედეგს არ ელოდა. ახლა ცოლ-ქმარი არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს.

გენეტიკოსის თქმით, მსოფლიოში სხვადასხვა კაცისგან ტყუპის გაჩენა ძალიან იშვიათი შემთხვევაა და ვიეტნამში პირველად დაფიქსირდა.

გასულ წელს ანალოგიური შემთხვევა აშშ-იც მოხდა. შტატ ნიუ-ჯერსიში ტყუპი გოგონების დედამ ყოფილ პარტნიორს ალიმენტის გადახდა დააკისრა.

2013 წლის იანვარში დაბადებულ ბავშვებს დნმ-ის ტესტი ჩაუტარეს. შედეგად, გაირკვა, რომ ტყუპებს სხვადასხვა მამები ჰყავდათ. ამიტომ ყოფილ პარტნიორს მხოლოდ ერთი ბავშვის ალიმენტი დააკისრეს.

ამერიკაში კიდევ ორი მსგავსი შემთხვევა მოხდა.

ვერდიქტის გამოტანის შემდეგ ქალი ძალიან გაკვირვებული დარჩა, თუმცა ბოლოს აღიარა, რომ ინტიმური კავშირი ერთდროულად ორ მამაკაცთან ნამდვილად ჰქონდა.

მოამზადა
ნინო ნიორაძემ

იური ვაზაგაშვილის მკვლელს – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული გია სოსანაშვილის განაჩენი. სოფელ ყარაფილაში აფეთქების ორგანიზებისთვის სოსანაშვილს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ბრალდებულის ადვოკატები არ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უზენაეს სასამართლოში მის გასაჩივრებას აპირებენ.

„შემდგომ ინსტანციაში, უზენაესში გავასაჩივრებთ აღნიშნულ განაჩენს. მგონი, მივაღწევთ ჩვენს საწადელს იმიტომ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა,“ – განაცხადა გია სოსანაშვილის ადვოკატმა სოსო ჯოგლიძემ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **რატომ** მოჰპარა ღმერთმა ადამს ნეკნი და რატომ გააკეთა მისგან ქალი?

– მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქურდობიდან არაფერი სასიკეთო არ გამოდის.

* * *

– **თუ** კვლავაც მთელი დღეების განმავლობაში აწრიალებ მაგ შენს ვიოლინოს, იცოდე, ფანჯრებს ქვებით ჩაგიმსხვრევთ! – ეუბნება მეზობელი მეზობელს.

– მერე ამით რას მიაღწევთ? მაშინ ხომ უფრო გარკვევით და უკეთ გაიგებთ ვიოლინოს ხმას?

* * *

წარწერამ ასფალტზე „ისევ მეძინა შენს ცოლთან“!!!, მთელი კორპუსი ააფორიაქა.

* * *

შვიდი ქალიშვილის მამამ სიმწრისგან თავის მერვე გოგოს სახელად ვასილი დაარქვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ კაკალ გულში

ჩვენ რა ვქნათ, რა!

● **არა რა, გვარამიასაც ვერ ენდობი! ხან ჯოჯოხეთს გვპირდება, ხან აჯანყებას!**

ამან ტყუილები ასე თუ გააგრძელა, ეკა ხერხეულიძეც აღარ მივა „რუსთავი-2“-ში.

● **ნუ ღელავთ, ნაცებო, ოქტომბერში ისეთ მატარებელში ჩაგდებთ, ყველგან რომ შეეტევა!!!**

● **მსოფლიოში ტექტონიკური ცვლილებები ხდება, ამის კარგი მაგალითია ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა. სოციალური მედია ამ მენტალურ და პოლიტიკურ ცვლილებებში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. მე ვფიქრობ, რომ სულაც არ არის გამორიცხული ძალიან ბევრი სახელმწიფოს დაშლა, საზღვრების წაშლა, და უბრალოდ მათ ადგილას ფეისბუქ-ჯგუფების წარმოშობა, რომლებიც გადასახადებს აკრეფენ...**

● **რაღაც ძაან ახალი და საინტერესო „ეპოქა“ იწყება! ინგლისმა ევროკავშირი დატოვა, კემერონი ამის გამო გადადგა, მთელი ევროპა შოკშია, ინგლისელები ზეიმობენ გამარჯვებას და ამ ფონზე ჩვენ რა უნდა ვქნათ, რა?**

● **ვინ დაუმზადა პაატა ბურჭულაძეს ასეთი სარეკლამო რგოლი? ისე ამბობს „ცვლილებების დრო“, რომ ასე მგონია, 1941 წლის 22 ივნისია , ლევიტანმა ომის დაწყება გვამცნო და ბაბუაჩემი, რომელიც ქერჩის ბრძოლებში დაიღუპა, კიდევ ერთხელ უნდა დაიღუპოს, ოღონდ ოპერის მისადგომებთან !**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.243; ევრო - 2.560;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.343;
100 რუბლი - 3.496; თურქული ლირა - 0.781;
აზერბაიჯანული მანათი - 1.454;
1000 სომხური დრამი - 5.709

ამინდი 25 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +31
თბილისი:	ღამე +18,	დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE